მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი

მრავალფეროვნება –

სახელმძღვანელო სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისათვის

მედიის მრავალფეროვნების
ინსტიტუტი
2005

შედგენილია მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ ამ პუბლიკაციასთან დაკავშირებული შეკითხვებით

დაუკავშირდით მედია მრავალფეროვნების ინსტიტუტს
100 Park Village East, London NW1 3SR, UK
Tel: + 44 20 7380 0200
Fax: +44 20 7380 0050
Email: info@media-diversity.org
Website: www.media-diversity.org

მრავალფეროვნება – სახელმძღვანელო სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისათვის
მედიის მრავალფეროვნების მარეგულირებელი საქართველოსა და საერთაშორისო კანონები და კოდექსები და მათი განმარტებები

ავტორები: ირაკლი კოტეტიშვილი და დევი სტურუა

მედია მრავალფეროვნების ინსტიტუტის დაკვეთით

თარგმანი: თამარ იაშვილი

Ministerie van Buitenlandse Zaken

წინამდებარე პუბლიკაცია გამოცემულია ევროგაერთიანებისა და ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის მედია მრავალფეროვნების ინსტიტუტს და არავითარ შემთხვევაში არ მიიჩნევა ევროგაერთიანების ან ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური პოზიციის ამსახველად.

მრავალფეროვნება –
სახელმძღვანელო სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისათვის

მედიის მრავალფეროვნების
მარეგულირებელი საქართველოსა და
საერთაშორისო კანონები და კოდექსები
და მათი განმარტებები

ლონდონი, 2005

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის
გამოცემა ევროგაერთიანებისა და
ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

მრავალფეროვნება - სახელმძღვანელო სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისათვის

შინაარსი

8-9 წინასიტყვაობა

1.

10-13 შესავალი

2.

თავი I. საქართველოს ჯანონმდებლობა

15-17 საქართველოს კონსტიტუცია

18-19 საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ

20-22 სიძულვილის გამოხატვის რეგულირება სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით

23-25 მედიის პროფესიული სტანდარტები (ეთიკის კოდექსი)

3.

თავი II. საერთაშორისო ჯანონმდებლობა

27-29 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია

33-36 ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპის კონვენციის ოქმი №12

37-40 წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(97)20, სიძულვილის გამოხატვის შესახებ

41-49 წევრი სახელმწიფოებისთვის ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია №R(97)21, მედიისა და შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცების შესახებ

50-81 დანართი

მრავალფეროვნება –

სახელმძღვანელო სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისათვის

წინასიტყვაობა

მილიცა პესიჩი

წინასიტყვაობა

მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი საქართველოში მუშაობს ჟურნალისტებსა და რედაქტორებთან, რათა უზრუნველყოს უმცირესობათა და დაუცველი ფენების პრესაში გაშუქება.

ქართველი ჟურნალისტები და გამომცემლები ყოველდღიურად დგებიან არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების წინაშე. მაგალითად, როდის არის გამართლებული ან კანონიერი დამნაშავის რასაზე, რესპოდენტის ეროვნებაზე ან პოლიტიკოსის სექსუალურ ორიენტაციაზე მითითება?

პრესაში უმცირესობათა ჯგუფებზე საუბარს გააჩნია როგორც მორალური ასევე სამართლებრივი ასპექტი. ეს წიგნი შეეხება სამართლებრივ ასპექტს.

რას ამბობს საქართველოს კონსტიტუცია ამ საკითხების შესახებ? არეგულირებს ამ საკითხებს საქართველოს სხვა კანონები ან საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომლებიც აღიარებულია საქართველოს მიერ? რა არის ნათქვამი ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის კონვენციაში?

ეს სამართლებრივი აქტები თქვენთვის სავალდებულოა შესასრულებლად, მიუხედავად იმისა, იცით თუ არა მათ შესახებ. თუმცა, ფაქტია, რომ დაძაბული სამუშაო გრაფიკის მქონე ჟურნალისტს ჩვეულებრივ დრო აღარ რჩება, რათა გადაიკითხოს კანონმდებლობა და გათვითცნობიერდეს დეტალებში. სწორედ ამიტომ, მედია მრავალფეროვნების ინსტიტუტმა ამის გაკეთება სთხოვა „აირექსის“ მედია ინოვაციების პროგრამის სამართლებრივ მრჩეველს – დევი სტურუას და თავისუფლების ინსტიტუტის სამართლებრივ მრჩეველს – ირაკლი კოტეტიშვილს.

მათ თავი მოუყარეს საქართველოს კანონებისა და კოდექსების იმ ძირითად ნაწილებს, რომლებიც გავლენას ახდენს თქვენი, როგორც ჟურნალისტებისა და რედაქტორების საქმიანობის პლურალისტური მიმოხილვის მხარეებზე, ასევე საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებსა და კონვენციებს, რომლებიც რატიფიცირებული და აღიარებულია საქართველოს მიერ.

იმედი გვაქვს, რომ თქვენ ეს დაგეხმარებათ.

მილიცა პესიჩი
მედია მრავალფეროვნების ინსტიტუტის დირექტორი

1. შეხავალი

შესავალი

საქართველოში აქამდე არასოდეს არსებულა რაიმე სახელმძღვანელო, რომელიც ჟურნალისტებს გარკვეულ წარმოდგენას შეუქმნიდა მედიის საქმიანობის მრავალფეროვნების აუცილებლობის შესახებ. წინამდებარე ბროშურა წარმოადგენს პირველ მოკრძალებულ ცდას როგორღაც ამოავსოს აღნიშნული ხარვეზი და მიზნობრივ ჯგუფებს პოპულარული ენით მიაწოდოს ინფორმაცია მედიის მრავალფეროვნების პრინციპების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ როგორც ევროსასამართლომ თავის პრეცენდენტულ სამართალში განაცხადა, „სიტყვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების ქვაკუთხედს და მისი თითოეული წევრის განვითარების აუცილებელ პირობას“. დემოკრატიულ საზოგადოებაში კი სიტყვის თავისუფლების „მთავარი მომხმარებელი“ მედიაა, რომელიც ახორციელებს მისი, როგორც „საზოგადოების მოდარაჯე ძაღლის (public watch dog)“ სასიცოცხლო ფუნქციას[1].

აღსანიშნავია, რომ არ ვიქნებით მართალნი თუ კი განვაცხადებთ, რომ საქართველოში მედია მრავალფეროვნების შესახებ გარკვეული სახელმძღვანელოს არსებობის მოთხოვნილება არსებობდა მას შემდეგ, რაც ქვეყანამ მოიპოვა დამოუკიდებლობა. ამ ეტაპისთვის მედიისთვის(და ზოგადად საზოგადოებისათვის) არათუ მედია მრავალფეროვნების, არამაედ საერთოდ დამოუკიდებელი მედიის არსებობაც კი ახალი ხილი იყო.

საქართველოში მედია მრავალფეროვნება დღეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება ორი მიზეზის გამო:

1) ვარდების რევოლუციის შემდეგ განხორციელდა მედია საშუალებების (განსაკუთრებით კი ეს ეხება ელექტრონულ მედიას) ხელახალი გადანაწილება. ძირითადი ტელე-რადიო კომპანიების მფლობელები ნებით თუ უნებ-

[1] იხ. ლინგენსი ავსტრიის წინააღმდეგ (1986 წ. 8 ივლისი).

ლიედ აღმოჩნდნენ მეტნაკლები აქტიურობით ჩართულნი პოლიტიკაში. შესაბამისად, აშაკარად იგრძნობა ამ კომპანიების ეთერში მრავალფეროვანი ინფორმაციის სიმცირე (თუ არა არარსებობა). ანუ მუსიკას უკრავს ის ვინც უკვეთავს მას. ეს კი დამღუპველად მოქმედებს საზოგადოებაში პლურალიზმისა და მრავალფეროვნების არსებობაზე. ამდენად, ჟურნალისტებისთვის მედია მრავალფეროვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, ვფიქრობთ, საშური საქმეა.

2) მეორე მიზეზს, რატომაც მედია მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის იდეა დღეს განსაკუთრებით აქტუალური ხდება წარმოადგენს ის, რომ საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 24 დეკემბერს მიიღო კანონი მაუწყებლობის შესახებ და ამით საბოლოოდ დააფიქსირა საქართველოში პირველი საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნა. ეს ინსტიტუტი საზოგადოების თითოეული წევრისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია და საზოგადოების თითოეული წევრი მოელის რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერით გავა მისთვის საჭირო და ამავე დროს საინტერესო ინფორმაცია. თუმცა, ამ მიზნის მიღწევა განსაკუთრებით მძიმე ამოცანაა თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საზოგადოება შედგება მრავალი განსხვავებული შეხედულების თუ უნარის მქონე ადამიანისაგან, ხოლო საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერი კი ერთია. სწორედ ამის გათვალისწინებითაც, მედია მრაფალფეროვნების უზრუნველყოფა საქართველოში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სახელმძღვანელოს სტრუქტურის აღწერა

ეს სახელმძღვანელო დაყოფილია ორ ნაწილად პირველ ნაწილში ჩვენ შევეხებით საქართველოში მედია მრავალფეროვნების მარეგულირებელ როგორც საკანონმდებლო აქტებს, ასევე ჟურნალისტთა პროფესიული ქცევის ეთიკის კოდექსს.

წიგნის მეორე ნაწილში საუბარი იქნება მედია მრავალფეროვნების მარგეულირებელ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე, რომლის მონაწილე ქვეყანასაც წარმოადგენს საქართველო. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საერთაშორსო ხელშეკრულებასა და შეთანხმებას თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეტანხმებას, გააჩნია პირდაპირი მოქმედების იურდიული ძალა და იგი უპირატესობით სარგებლობს შიდა საკანონმდებლო აქტების მიმართ.

წიგნის დანართი შეიცავს ქართულ და საერთაშორისო საკანონმდებლო აქტებსა და სხვა მარეგულირებელ ნორმებს. ჩვენ შევეცადეთ მოგვეყვანა ის ძირითადი ნორმატიული აქტები, რომლებიც იურიდიული ძალის მქონეა საქართველოში და გამოსადეგია ჟურნალისტებისათვის მათ ყოველდღიურ საქმიანობაში.

იმედს ვიტოვებთ, რომ სახელმძღვანელო შეასრულებს იმ მიზანს რაც დაისახეს მისმა ავტორებმა – მასში მოყვანილი ნორმატიულ მასალის გაცნობითა და მისი დაწვრილებითი ანალიზით ჟურნალისტებს გასაგებ ენაზე მივაწოდოთ მათ ყოველდღიურ საქმიანობაში მედია მრავალფეროვნების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

2.

თავი I.
საქართველოს კანონმდებლობა

თავი I. საქართველოს კანონმდებლობა

აღსანიშნავია, რომ ძირითადი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც საქართველოში აწესრიგებს მედიის სფეროს შემდეგია:

* *საქართველოს კონსტიტუცია*
* *საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ*
* *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი*
* *საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი*
* *საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი*
* *საქართველოს კანონი მავნე ზეგავლენისგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ*
* *საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი*
* *საქართველოს კანონი კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ*
* *საქართველოს კანონი რეკლამის შესახებ*
* *საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ*
* *საქართველოს მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები*

თუმცა აქედან უმრავლესობა არ ეხება მედიის მიერ მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდებას მკითხველისათვის. ამ თვალსაზრისით მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები სულ რამდენიმეა, კერძოდ:

* *საქართველოს კონსტიტუცია*
* *სისხლის სამართლის კოდექსი*
* *კანონი მაუწყებლობის შესახებ*

ზემოთხსენებული საკანონმდებლო აქტების გარდა მრავალფეროვნების გაშუქების საკითხებს საქართველოში ასევე არეგულირებს ინსტრუმენტი, რომელსაც ეწოდება „მედიის პროფესიული სტანდარტები“ ან უბრალოდ ეთიკის კოდექსი.

ჩვენ დაწვრილებით მიმოვიხილავთ ყოველივე ხსენებულ დოკუმენტს და ვისაუბრებთ მათ მნიშვნელობასა და გამოყენების სპეციფიკაზე.

საქართველოს კონსტიტუცია

1995 წლის საქართველოს კონსტიტუცია ადგენს მრავალფეროვნების ხელშეწყობისა და უმცირესობათა დაცვის ძირითად საფუძვლებს. კონსტიტუციის თავი, რომელიც შეეხება ადამიანის უფლებებს, შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ძირითად საერთაშორისო აქტებთან და ამასთან, პირდაპირ მიუთითებს თანასწორობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე. კერძოდ, მე-14 მუხლი ადგენს:

„ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა“.

მუხლი 34 სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებასა და პლურალიზმს, კერძოდ, აქ ნათქვამია:
„1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“.

კონსტიტუციის 38-ე მუხლი უზრუნველყოფს თანასწორობას სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მიუხედავად სხვადასხვა უმცირესობებისადმი კუთვნილებისა. აღნიშნული მუხლი ადგენს:
„1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი

კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო, წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას“.

ამრიგად, კონსტიტუციით გარანტირებულია უმცირესობათა უფლებების დაცვა და მრავალფეროვნების შენარჩუნება. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ დონეზე სათანადოდ არ ხდება ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობის იმპლიმენტაცია. თუმცა, ახლახანს მიღებული კანონი მაუწყებლობის შესახებ დამატებით უზრუნველყოფს კონსტიტუციის იმ დებულებათა გატარებას, რომლებითაც გარანტირებულია მრავალფეროვნება. ამასთანავე, აღნიშნული კანონი ითვალისწინებს სახელმწიფო ტელევიზიისა და რადიოს (ტელევიზიის I და II არხებისა და სახელმწიფო რადიოს) საზოგადოებრივ მაუწყებლობად გარდაქმნას. ქვემოთ განხილულია დებულებები, რომლებიც შეეხება პლურალიზმს მაუწყებლობაში:

ახალი კანონი მაუწყებლობის შესახებ ადგენს საქართველოში ელექტრონული მედიის სექტორის რეგულირების ფარგლებს და ქმნის საფუძველს იმ საერთაშორისო ვალდებულებების განხორციელებისთვის, რომლებიც იკისრა საქართველომ კონვენციებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე. ამ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, ქვეყანაში გატარებული ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაცია იყო საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნა, რომელმაც ჩაანაცვლა სახელმწიფო სატელევიზიო და რადიო მაუწყებლობა. კანონმდებელთა აზრით, ამ ახლად შექმნილმა გაერთიანებამ უნდა დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები და ინტერესები მაუწყებლობის სფეროში, ის უნდა იყოს დამაბალანსებელი ინსტრუმენტი საჯარო და კერძო ინტერესებს შორის. კანონი მოითხოვს, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ თავის პროგრამებში გაითვალისწინოს პლურალიზმის ელემენტები. ამ დებულებებს ქვემოთ განვიხილავთ.

მუხლი 16. საზოგადოებრივი მაუწყებლობა:

„...ვ) უნდა ასახავდეს საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას;

ზ) გადაცემებში უნდა ასახავდეს ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ, რელიგიურ, ასაკობრივ და გენდერულ პლურალიზმს;

თ) ითვალისწინებდეს შეზღუდული შესაძლებლობების პირთა ინტერესებს;

ი) ხელს უწყობდეს თვითმყოფადობის, ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

კ) ეთერის გარკვეული ნაწილი დაუთმოს გადაცემებს, რომლებიც მომზადებულია უმცირესობათა ჯგუფების მიერ, მათ ენაზე ან მათ შესახებ.

მუხლი 46. სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელმა

„...უზრუნველყოფდეს მისი მომსახურების ზონაში მცხოვრები უმცირესობების აზრების გაშუქებას“

მუხლი 60. მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა

„პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად ფლობდეს არა უმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო და 1 საერთო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას თითო მომსახურების ზონაში“.

აღნიშნული დებულება შეეხება მედიაზე საკუთრების უფლების შეზღუდვას. ამ დებულების მეშვეობით კანონმდებლებს სურდათ მიეღწიათ პლურალიზმისთვის მედიის მფლობელობაში. ასეთი პლურალიზმის საჭიროება და მასთან დაკავშირებული საერთაშორისო ხელშეკრულება განხილულია ამ წიგნის თავში, რომელიც შეეხება საერთაშორისო სამართლს.

სახელმწიფოს გავლენისაგან თავისუფალი საზოგადოებრივი მაუწყებლობის სისტემა აუცილებელია, რათა ყველა მოქალაქეს მიეწოდებოდეს მრავალფეროვანი ინფორმაცია. მხოლოდ კერძო სამაუწყებლო სექტორი ვერ უზრუნველყოფს პლურალისტურ მედია ლანდშაფტს. ამ მხრივ, საზოგადოებრივი მაუწყებლობა წარმოადგენს გამაწონასწორებელ ძალას. საზოგადოებრივ დაფინანსებაზე მყოფი, არაკომერციული სამაუწყებლო ორგანიზაციები თავისთავად პლურალისტური უნდა იყოს, რათა შეასრულონ თავიანთი როლი მრავალფეროვნების განმტკიცებაში. ასეთ სამაუწყებლო ორგანიზაციას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს პოლიტიკური და კულტურული პლურალიზმის განვითარებაში და წარმოადგენდეს ტრიბუნას უმცირესობათა კულტურის პოპულარიზაციისთვის. საზოგადოებრივი მაუწყებლობის ეს ძირითადი პრინციპები და ამოცანები ჩამოყალიბებულია ზემოთ ხსენებული კანონის მე-17 მუხლში.

46-ე მუხლი უზრუნველყოფს უმცირესობათა აზრის წარმოჩენას საზოგადოებრივი მაუწყებლობის სისტემაში. სათემო მაუწყებლობა ახალი ცნებაა საქართველოში და ამიტომ, ლიცენზიები ჯერჯერობით არ გაიცემა. მიუხედავად ამისა, კანონმდებელი შეეცადა დაცული ყოფილიყო თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები, ვინაიდან, სათემო მაუწყებლობა ორიენტირებული უნდა იყოს იმ საკითხებზე, რომლებიც უშუალოდ შეეხება თითოეულ საზოგადოებრივ ჯგუფს, რეგიონსა თუ მხარეს.

მაუწყებლობის შესახებ კანონი ითვალისწინებს, რომ მაუწყებლობის შესახებ კანონის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ, სამაუწყებლო ლიცენზიების მფლობელებთან თანამშრომლობით, უნდა მომზადდეს ლიცენზიის მფლობელთა ქცევის კოდექსი. ეთიკის კოდექსისგან განსხვავებით, ლიცენზიის მფლობელთა ქცევის კოდექსის ნორმების დარღვევა გამოიწვევს სამართლებრივ სანქციებს მაუწყებელთა მიმართ. ქცევის კოდექსი ლიცენზიის მფლობელისგან მოითხოვს უმცირესობათა აზრის წარმოდგენასაც.

აღსანიშნავია, რომ თუმცა, მედია ვალდებულია, გაა-შუქოს რაც შეიძლება მრავალმხრივი და განსხვავებული ინფორმაცია, მას მაინც ეკისრება პოზიტიური ვალდებულება არ გადასცეს გარკვეული ტიპის და შინაარსის შემცველი ინფორმაცია და იდეები. კერძოდ:

დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზება

აღსანიშნავია, რომ დანაშაულის ჩადენისაკენ წაქეზება არცერთ ქვეყანაში არ არის დაცული სიტყვის თავისუფლების გარანტიებით. გამონაკლისს ამ შემთხვევაში არც საქართველოს კანომდებლობა წარმოადგენს. საქართველოს კანონმდებლობა (მათ შორის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონი) არამარტო არ იცავს დანაშაულისაკენ წაქეზებას, არამედ სისხლის სამართლის კოდექსში მოიპოვება სპეციალური მუხლი, რომელიც აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას მსგავსი შინაარსის შემცველი მოწოდების გავრცელებისათვის. მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლის მიხედვით, საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ანდა ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ

კოდექსის 405-ე მუხლის მიხედვით, საქვეყნოდ მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. კოდექსი იგივე ქმედებას ჩადენილს საინფორმაციო საშუალებით ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ სჯის ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მუქარა

აღსანიშნავია, რომ ისევე როგორც ზევით განხილული მოწოდებები არ არის დაცული სიტყვის თავისუფლების გარანტიებით, ასევე არ არის დაცული მუქარის შემცველი შინაარსის გამოხატვა. შესაბამისად, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სიცოცხლის

მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოცდაათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა ტუსაღობით ვადით სამ თვემდე.

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა

აღსანიშნავია, რომ მედია ასევე ვალდებულია, არ დაარღვიოს ადამიანთა თანასწორუფლებიანობა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო.

რასობრივი დისკრიმინაცია

განსაკუთრებული საფრთხის შემცველია რასობრივი დისკრიმინაციისკენ მიმართული განცხადებები. ამიტომ სისხლის სამართლის კოდექსი მას დასჯად ქმედებად მიიჩნევს. ხოლო რასობრივი დისკრიმანაცია განმარტებულია როგორც ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, სოციალური კუთვნილების, ეროვნული ან ეთნიკური წარმომავლობის ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შეზღუდვა

კანონმდებლობა ასევე განსაკუთრებული სტატუსით იცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებს და ნებისმიერ პირს აკისრებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ინვალიდობის მოტივით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით მინიჭებული უფლების განხორციელებაზე უარის თქმისათვის. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, მათ შორის მედიაც ვალდებულია თავი შეიკავოს იმგვარი განცხადებების გაშვებისაგან, რომლებიც აშკარად მიმართულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შეზღუდვისაკენ.

ისეთი ნაწარმოების დამზადება ან გავრცელება, რომელიც პროპაგანდას უწევს ძალადობის ან სისასტიკის კურსს

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებები მედიამ შეიძლება დაარღვიოს არამხოლოდ გარკვეული ინფორმაციის არგაშვებით არამედ ასევე იმგვარი ინფორმაციის გაშვებითაც, რომელიც პროპაგანადს უწევს ძალადობის ან სისასტიკის კულტს. ამგვარი ტიპის ინფორმაციის გაშვება განსკაუთრებული საზოგადოებრივი საშიშროების შემცველია და ამიტომაც კანონმდებელმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გაითვალისიწინა მისთვის.

რა ჩაითვლება ძალადობის პროპაგანდის შემცველ ნაწარმოებად? ჩაითვლება თუ არა ამ ტიპის ნაწარმოებად, მაგალითად, მძაფრ სიუჟეტიანი ფილმი სადაც უხვადაა ძალადობის სცენები? ცალსახად შეიძლება ითქვას რომ არა. ანუ ძალზედ ძნელია გაავლო ზღავრი ხელოვნების ნაწარმოებსა და ძალადობის პროპაგანდის შემცველ ნაწარმოებს შორის. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის ეს მუხლი არასოდეს ამოქმედებულა, ანუ საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს სასამართლო პრაქტიკა, რომელიც პასუხს გასცემდა ამ კითხვას.

ჟურნალისტის პროფესიული სტანდარტები (ეთიკის კოდექსი)

ეთიკის კოდექსის იურიდიული ძალა

აღსანიშნავია, რომ თავად ეთიკის კოდექსს არ გააჩნია არავითარი იურიდიული ძალა, თუმცა, იმის გათვალისწინებით რომ მასში მოცემული დებულებების ყოველდღიურ საქმიანობაში შესრულებაზე მასზე ხელმომწერმა მედია საშუალებებმა განაცხადეს თანხმობა.

აღსანიშნავია, რომ პრეამბულის თანახმად, საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, ჟურნალისტი მოვალეა, დაიცვას პროფესიული სტანდარტით დადგენილი წესები.

ქვევით ჩვენ შევეცდებით, მოკლედ მიმოვიხილოთ ეთიკის კოდექსის ის დებულებები რაც დაკავშირებულია მედიის პროფესიულ მოვალეობასთან – გააშუქოს მრავალფეროვანი ინფორმაცია და ამავე დროს მრავალფეროვნების უზრუნველყოფისას გაითვალისწინოს ის შეზღუდვები რაც დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელია *„სხვა პირთა უფლებების“* და ასევე ევროკონვეციის 10-ე მუხლის II პუნქტით გათვალისწინებული სხვა სიკეთეების დასაცავად.

პასუხის უფლება

იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებელია არსებობდეს მრავალმხრივი ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების გარანტიები, ეთიკის კოდექსით გარანტირებულია ე.წ. *პასუხის უფლება*. პასუხის უფლება საშუალებას აძლევს საზოგადოებას, მიიღოს არამარტო იმ პირის განცხადება, ვინც თავდაპირველად დაფიქსირდა სტატიასა თუ სატელევიზიო გადაცემაში, არამედ იმის მოსაზრებაც, ვის შესახებაც გავრცელდა ინფორმაცია. ამით კი საზოადოებას მიეწოდება მრავალმხრივი და განსხვავებული ინფორმაცია, რაც თავისთავად უკეთეს საშუალებას აძლევს მას გააკეთოს ინფორმირებული არჩევანი.

კრიტიკის ობიექტს უფლება აქვს, საზოგადოებას ამცნოს საკუთარი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

არასწორი ინფორმაცია უნდა გასწორდეს, როგორც კი ცნობილი გახდება გამოქვეყნებულ ინფორმაციაში არსებული შეცდომის შესახებ. შესწორება უნდა მოხდეს თანაზომადი ფორმით, რათა მკითხველმა/აუდიტორიამ იოლად შეამჩნიოს იგი.

ინფორმაციის წყარო

აღსანიშნავია, რომ იმისათვის რათა ჟურნალისტს, შეეძლოს საზოგადოებას მიაწოდოს მაქსიმალურად მრავალმხრივი და განსხვავებული ინფორმაცია და მოიცვას გასაშუქებელი საკითხის ყველა მხარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჟურნალსტის მიერ სააკუთარი წყაროს კონფიდენციალობის დაცვას. თუ წყარო ინ-ფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ პირობით თანხ-მდება, რომ ჟურნალისტი არ გაამჟღავნებს მის ვინა-ობას, თავის მხრივ, ჟურნალისტი ვალდებულია, და-იცვას პროფესიული საიდუმლოება მაშინაც კი, თუ ასეთი პოზიცია პრობლემას შეუქმნის მას. ერთადერთ გამონაკლისს ამ საერთო წესიდან წარმოადგენს შემ-დეგი: თუ დადასტურდა, რომ წყარომ შეგნებულად და ბოროტი განზრახვით შეიყვანა ჟურნალისტი შეც-დომაში, მაშინ ეს პირობა შესაძლოა დაირღვეს.

ინფორმაციის ამა თუ იმ წყაროს შესაძლოა, პირადი ინტერესი ამოძრავებდეს, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი კრიტიკულად მოეკიდოს თავის წყაროს.

პროფესიული სტანდარტი გულისხმობს ფაქტების გადამოწმებას სხვა დამოუკიდებელი წყაროების სა-ფუძველზე. თუ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლე-ბელია, მისი გავრცელებისას უნდა გაკეთდეს შესაბა-მისი დათქმა.

წყაროს დასახელება დამაჯერებლობას მატებს ინ-ფორმაციას, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ინფორმა-ციის წყაროს დაცვის აუცილებლობას.

დისკრიმინაცია

ზოგადი წესის თანახმად, ჟურნალისტი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუთითებს ამა თუ იმ პირის ეთნიკურ და რასობრივ კუთვნილებას, პოლიტიკურ თუ სხვა ტიპის შეხედულებას თუ ეს ინფორმაცია პირდაპირ კავშირშია საქმის არსთან.

შესაძლებელია ითქვას, რომ მახასიათებლების გამოქვეყნება დასაშვებია თუ ისინი უშუალო კავშირ-შია ჩადენილ დანაშაულთან. მაგალითად, თუ მუსლი-მანი ტერორისტი ისლამის სახელით ჩადის ტერაქტს ან ბასკი ტერორისტი ბასკეთის გათავისუფლების სა-ხელით ჩაიდენს დანაშაულს, მაშინ მისი მოქმედება პირდაპირ არის დაკავშირებული დამნაშავის რწმენას-თან ან ეთნიკურ წარმომავლობასთან. შესაბამისად მისი რელიგიისა თუ ეთნიკური წარმომავლობის აღ-ნიშვნა არა მხოლოდ დასაშვებია არამედ აუცილებე-ლიცაა იმისათვის, რომ მოსახლეობამ ზუსტი და ყო-ველმხრივი ინფორმაცია მიიღოს მომხდარის შესახებ.

მედია აღიარებს და პატივს სცემს შეხედულებათა მრავალფეროვნებას. ჟურნალისტმა ხელი არ უნდა შეუწყოს კონფლიქტების გაღვივებას რასობრივ, ეთნიკურ თუ სხვა ნიადაგზე. მედია მოვალეა არ გაავრცელოს ნებისმიერი პუბლიკაცია, რომელიც შეიცავს მოწოდებებს ომისაკენ, ძალადობისაკენ; შეურაცხყოფს მორწმუნეთა და ნაციონალურ გრძნობებს; ლახავს ადამიანის უფლებებს, კულტურულ თვითმყოფადობას ან ხელს უწყობს პორნოგრაფიული ნაწარმის გავრცელებას.

3. თავი II. საერთაშორისო კანონმდებლობა

თავი II. საერთაშორისო ჯანონმდებლობა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციაში, რომელიც ძალაშია 1953 წლის 3 სექტემბრიდან, მოცემულია ძირითადი უფლებები და თავისუფლებები (სიცოცხლის უფლება, წამების აკრძალვა, მონობისა და იძულებით მუშაობის აკრძალვა, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლებები, სამართლიანი სასამართლოს უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფცია, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება, შეკრებისა და საზოგადოებრივი გაერთიანებების შექმნის თავისუფლება, ქორწინების უფლება, ზიანის ანაზღაურების უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა). კონვენცია რატიფიცირებულია 45 სახელმწიფოს მიერ. კონვენცია ასევე ადგენს მისი ცხოვრებაში გატარების მექანიზმებს. მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად სტრასბურგში დაარსდა ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, რომელიც განიხილავს დავებს კერძო პირებსა და სახელმწიფოებს შორის. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის თხოვნის საფუძველზე სასამართლო გასცემს სარეკომენდაციო დასკვნებს კონვენციებისა და მისი პროტოკოლების ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით. საქართველომ ევროპის კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1999 წელს.

ევროპის კონვენციის რამდენიმე მუხლი შეეხება მრავალფეროვნებისა და მედიის პლურალიზმის საკითხებს. ამ მუხლების ციტირების შემდეგ შემოგთავაზებთ კომენტარებს.

ევროპის კონვენციის მე-9 მუხლი, რომელიც შეეხება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებას, შემდეგი შინაარსისაა:

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის გაცვლის თავისუფლებას მარტო თუ სხვებთან კავშირში და საჯაროდ თუ კერძოდ, თავისუფლებას გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.

2. ადამიანის რწმენისა და რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან კანონით და აუცილებელნი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 10 – გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი; მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო, რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან კანონით და აუცილებელნი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლოს თავისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 14 – დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასათვის ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, ისეთებზე, როგორებიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან განსხვავებული აზრი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, გაერთიანება ეროვნულ უმცირესობასთან, ქონება, დაბადება ან სხვაგვარი სტატუსი.

ევროპის კონვენციის მე-10 მუხლი და მისი მნიშვნელობა მედიის მრავალფეროვნებასთან მიმართებაში

მედიის მრავალფეროვნებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მე-10 მუხლს. ევროპის კონვენციის თანახმად, წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან დაიცვან და განამტკიცონ პლურალიზმი მედიაში. მე-10 მუხლის პირველი პუნქტი უზრუნველყოფს გამოხატვის თავისუფლების უფლებას. ამავე პუნქტის მეორე წინადადებაში ნათქვამია, რომ აქ იგულისხმება ინფორმაციის თავისუფლებაც. თუმცა, პირდაპირი მითითება არ არის მედიის თავისუფლებაზე ან მედიის პლურალისტურობასა და მრავალფეროვნებაზე. მაუწყებლობისა და პრესის თავისუფლების აღიარება, როგორც აქტიური და პასიური აზრის თავისუფლების ნაწილისა, შესაძლებელია მე-10.1 მუხლის მეორე წინადადების ინტერპრეტაციის მეშვეობით.

მედიის თავისუფლება გულისხმობს, რომ საზოგადოებისთვის მისაწვდომია თავისუფალი მედიის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სრულიად დაბალანსებული, ამომწურავი და მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდებას. ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ასეთი სახის თავისუფალი სისტემა წარმოადგენს ფუნქციონირებადი დემოკრატიის მთავარ წინაპირობას. შესაბამისად, მედიის თავისუფლების ცნება უზრუნველყოფს მედიის მრავალფეროვნებასაც. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ განმარტა, რომ სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს პოზიტიური მარეგულირებელი ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ბალანსირებული კერძო მედიის მაქსიმალურად ფართო სპექტრს, როდესაც გარკვეული მიზეზების გამო ასეთი მრავალფეროვნება ფაქტობრივად მიღწეული არ არის.

ევროპის კონვენციის მე-10 მუხლიდან გამომდინარე, მედიის პლირალიზმის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ მიუთითა თავის რამდენიმე გადაწყვეტილებაში. მაგალითად, ჯერსილდის საქმეში მან ხაზი გაუსვა აუდიოვიზუალური მედიის მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში[2]. 1995 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილებაშიც, პიერმონტის საქმეზე[3], სასამარ-

[2] 23.9.1994 წ. გადაწყვეტილება, სერია ა №298, გვ.23, აბზ. 31

[3] 27.4.1995 წ. გადაწყვეტილება, ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის წლიური ჟურნალი, 1995 წ, 255

თლომ მიუთითა მედიის მნიშვნელოვან როლზე დემოკრატიულ საზოგადოებაში და მასთან დაკავშირებული პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ღიაობის აუცილებლობაზე. ბოლოს კი, ბლადეტ ტრომსოს[4], ფრესოს და როირეს[5], ობერშლიკის[6] და იანოვსკის[7] საქმეებზე აქცენტი გაკეთდა პრესის, როგორც „კანონიერების დარაჯის" განსაკუთრებულ დემოკრატიულ როლზე.

მე-10 მუხლისა და ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილებების ფონზე მედია ორგანიზაციების მესაკუთრეთა სიმრავლე ვერ უზრუნველყოფს პლურალიზმს მედიის შინაარსში. მკითხველი, რომელიც რამდენიმე გაზეთს გადახედავს, ზოგჯერ მათში ერთნაირ სტატიებს აღმოაჩენს, რომელთაც ჩვეულებრივ წინ უძღვის პრესის სააგენტოს ინიციალები. ტელემაყურებლები ერთი არხიდან მეორეზე გადართვისას ხშირად ხედავენ ერთნაირ რეპორტაჟებს ახალ ამბებში, ერთსა და იმავე დოკუმენტურ ფილმებსა და დრამებს. ასეთი მსგავსების მიზეზი ის გახლავთ, რომ მედია კომპანიების ახალი ამბების რედაქციები თვითონ არ ქმნიან ყველა სტატიასა და გადაცემას. ისინი იყენებენ გარეშე სააგენტოებს, რომლებიც მათ აწვდიან ინფორმაციას, ფოტოებს, ქრონიკებს, გადაცემებს, დოკუმენტურ ფილმებს, სერიალებსა და მხატვრულ ფილმებს. შესაბამისად, გაზეთებსა და ტელე არხებს შორის ძლიერი კონკურენცია თავისთავად ვერ უზრუნველყოფს პლურალისტურ შინაარსს. ამიტომ, იბადება კითხვა: საინფორმაციო წყაროებს შორის არასათანადო კონკურენცია ახდენს თუ არა უარყოფით გავლენას დემოკრატიული საზოგადოების არსებობაზე და თუ ახდენს – საინტერესოა რამდენად დიდია ეს გავლენა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ინფორმაციასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის. ინფორმაციასთან მიმართებაში მონოპოლიური გარემო შეიძლება გამოყენებული იქნეს საზოგადოებრივი აზრის მანიპულირებისთვის. მაგალითად, ასე ხდება, როდესაც ჟურნალისტებს, რომლებიც მიმოიხილავენ კონფლიქტს, არ უშვებენ ოპე-

[4] 20.5.1999 წ. გადაწყვეტილება, ახალი ყოველკვირეული იურიდიული გამოცემა (NJW) 2000წ, 1015

[5] 21.1.1999 წ. გადაწყვეტილება, NJW 1999, 1315

[6] 1.7.1997 წ. გადაწყვეტილება, NJW 1999, 1321

[7] 21.1.1999 წ. გადაწყვეტილება, NJW 1999, 1318

რაციების ადგილზე და აიძულებენ დაკმაყოფილდნენ შეიარაღებული ძალების პრეს-მდივნების მიერ მიწოდებული მონაცემებით. ასევე, საშიშია ეკონომიკური ინფორმაციის წყაროების იგივეობა, ვინაიდან მომხმარებლები ვეღარ შეძლებენ საბაზრო ეკონომიკაში თავიანთი როლის შესარულებას. ერთგვაროვნებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც შეუძლებელია ინფორმაციის გადამოწმება სხვადასხვა წყაროების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ინტერნეტი ხელს უწყობს საინფორმაციო წყაროების სიმრავლეს, განსაკუთრებით სადისკუსიო ფორუმებზე.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის კონვენციის ოქმი №12

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის I მუხლით აღიარებულია, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით". თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ძირითადი პრინციპი ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური ელემენტია, რაც აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-7 მუხლით, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 26-ე მუხლით და ადამიანის უფლებათა შესახებ სხვა საერთაშორისო აქტების მსგავსი დებულებებით. შესაბამისი დებულება გათვალისწინებულია ადმიანის უფლებათა ევროპის კონვენციაშიც, კერძოდ, მე-14 მუხლში. თუმცა, კონვენციის მე-14 მუხლით უზრუნველყოფილი დაცვა თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვისთვის, სხვა საერთაშორისო აქტების შესაბამის დებულებებთან შედარებით, შეზღუდულია. ეს განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მე-14 მუხლი, სხვა აქტებისგან განსხვავებით, არ შეიცავს ცალკე დისკრიმინაციის აკრძალვას, ანუ ის კრძალავს დისკრიმინაციას მხოლოდ კონვენციით გათვალისწინებული „უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებასთან" მიმართებაში.

მუხლი 1 – დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა

„1. კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების გამოყენება უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვა სტატუსის საფუძველზე.

2. არავინ არ შეიძლება იქნას დისკრიმინირებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვილილი რომელიმე საფუძვლით".

კომენტარები №12 ოქმზე

I მუხლის პირველი ნაწილი მიუთითებს კანონის წინაშე თანასწორობისა და კანონის თანასწორად დაცვის

პრინციპზე. ეს არის ფუნდამენტური და დამკვიდრებული ზოგადი პრინციპი, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის მნიშვნელოვანი ელემენტია. იგი აღიარებულია წევრი სახელმწიფოების კონსტიტუციებსა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში (იხ. პირველი აბზაცი).

მიუხედავად იმისა, რომ თანასწორობის პრინციპზე პირდაპირი მითითება არ არის არც კონვენციის მე-14 მუხლში და არც ოქმის I მუხლში, უნდა აღინიშნოს, რომ დისკრიმინაციის აკრძალვისა და თანასწორობის პრინციპები ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. მაგალითად, თანასწორობის პრინციპი მოითხოვს, რომ თანაბარი გარემოებები თანაბრად იქნას მიღებული, არათანაბარი კი – სხვადასხვაგვარად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ობიექტური და რაციონალური გამართლების არარსებობისას, ადგილი ექნება დისკრიმინაციას. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ თავის პრეცედენტულ სამართალში, მე-14 მუხლის საფუძველზე, უკვე გააკეთა მითითება „თანაბარი მოპყრობის პრინციპის“ (მაგ. იხ. ევროპის სასამართლოს 1968 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება „ბელჯიან ლინგვისტიკის“ საქმეზე, სერია ა, № 6, აბზ. 10) ანუ „სქესობრივი თანასწორობის“ შესახებ (მაგ. იხ. 1985 წ. 28 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე – აბდულაზიზი, კაბალესი და ბალკანდალი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, სერია ა, № 94, აბზ. 78).

პირველი მუხლის მესამე ნაწილი შეეხება სრული და ნამდვილი თანასწორობის განსამტკიცებლად მიღებულ ზომებს და ადასტურებს, რომ ასეთი ღონისძიებები არ უნდა იკრძალებოდეს, დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპის საფუძველზე, თუ მათთვის არსებობს ობიექტური და რაციონალური გამართლება.

ოქმის I მუხლი, რომელიც ყველაზე მეტად არის ამ გამოცემის თემატიკასთან კავშირში, შეიცავს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას. ამ მუხლში გათვალისწინებულია დისკრიმინაციის საწინააღმდეგო ზოგადი დებულება და ამასთანავე, მოცემულია დაცვის ფარგლები, რომლებიც სცილდება კონვენციით აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენებას. პირველი მუხლიდან გამომდინარე, დაცვის ეს ფარგლები ძირითადად ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც პიროვნების დისკრიმინაცია ხორციელდება:

I. ნებისმიერი უფლების გამოყენებისას, რომელიც

პირს სპეციალურად აქვს მინიჭებული ეროვნული კანონმდებლობით;

II. იმ უფლების გამოყენებისას, რომელიც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გამომდინარეობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ვალდებულებიდან ანუ როდესაც ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო ვალდებულია განახორციელოს გარკვეული სახის მოქმედება;

III. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას (მაგ. გარკვეული სუბსიდიების გაცემა);

IV. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ნებისმიერი სხვა მოქმედებით ან შეცდომით (მაგ. სამართალდამცავთა მოქმედება საზოგადოებრივი არეულობის კონტროლირებისას).

I მუხლის ფორმულირება ასახავს გაწონასწორებულ მიდგომას მხარეთა მოსალოდნელი პოზიტიური ვალდებულებებისადმი, რომლებიც ამ დებულებიდან გამომდინარეობს. აქვე იბადება კითხვა, თუ რა ფარგლებში ავალდებულებს I მუხლი მხარეებს, მიიღონ ზომები დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, თუნდაც მაშინ, როდესაც დისკრიმინაციას ადგილი აქვს კერძო პირებს შორის ურთიერთობისას (ე.წ. „არაპირდაპირი ჰორიზონტალური ზემოქმედება“). იგივე კითხვა ჩნდება დისკრიმინაციის შემთხვევებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით. იმ დროს, როდესაც ასეთი პოზიტიური ვალდებულებების სრულიად გამორიცხვა არ შეიძლება, I მუხლის უპირველესი მიზანია ასახოს მხარეთა ნეგატიური ვალდებულებაც: თავი შეიკავონ კერძო პირთა დისკრიმინაციისგან.

I მუხლი კრძალავს სახელმწიფო მოხელეთა მიერ დისკრიმინაციის განხორციელებას. ეს მუხლი არ არის მოწოდებული იმისთვის, რომ დააკისროს მხარეებს ზოგადი პოზიტიური ვალდებულება, მიიღონ ზომები კერძო პირებს შორის ურთიერთობისას დისკრიმინაციის ყველა შემთხვევის აღმოფხვრის ან გამოსწორებისთვის. კონვენციის დამატებითი ოქმი, ტიპიურ მოკლე დებულებებში ჩამოყალიბებულ პირადი უფლებების ჩამონათვალით, არ იქნებოდა შესაფერისი აქტი პროგრამული ხასიათის ასეთი მრავლისმომცველი ვალდებულების სხვადასხვა ელემენტების განსაზღვრისთვის. დეტალური წესები უკვე ჩამოყალი-

ბებულია ცალკეულ კონვენციებში, რომლებიც ეძღვნება კონკრეტულად იმ სპეციფიკური ნიშნების მიხედვით დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რომლებიც ამ კონვენციებშია განხილული (მაგ. იხ. კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ და კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, რომლებიც შემუშავებულია გაეროს მიერ). დაუშვებელია ვიფიქროთ, რომ მოცემული ოქმი ზღუდავს ან აუქმებს შიდა კანონმდებლობის ან ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, რომელიც უზრუნველყოფს დამატებით დაცვას დისკრიმინაციისგან.

I მუხლის პირველი ნაწილი უთითებს „კანონით გათვალისწინებულ ნებისმიერ უფლებაზე". ეს ფრაზა განსაზღვრავს ამ ნაწილით უზრუნველყოფილი გარანტიის ფარგლებს და ზღუდავს მის შესაძლო არაპირდაპირ ჰორიზონტალურ ზემოქმედებას. I მუხლის პირველ და მეორე ნაწილებად დაყოფა პირობითია. შედეგად, ზემოთ ჩამოთვლილ ოთხივე ელემენტზე ყველა შემთხვევაში ვრცელდება I მუხლი მთლიანად. სიტყვაში „კანონი" შეიძლება იგულისხმებოდეს საერთაშორისო სამართლის ნორმაც, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული დებულება მითხოვს ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ სამართალწარმოებისას უნდა შეამოწმოს სხვა საერთაშორისო აქტების ნორმებთან შესაბამისობა.

ტერმინი „სახელმწიფო ხელისუფლების ორგანო", რომელიც გამოყენებულია მუხლის მეორე ნაწილში, აღებულია კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილიდან და მე-10 მუხლის I ნაწილიდან და აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც ამ მუხლებში გამოყენებულ ტერმინს. იგი მოიცავს არა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს, არამედ სასამართლოებსა და საკანონმდებლო ორგანოებსაც.[8]

[8] ოქმი № 12-ის სრული ტექსტი მოცემულია წიგნის ბოლო ნაწილში

წევრი სახელმწიფოებისადმი მიმართული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (97) 20 სიძულვილის გამოხატვის შესახებ

1997 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია „სიძულვილის გამოხატვის“ შესახებ. აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს რეკომენდაცია არ არის საკანონმდებლო აქტი, მაგრამ იგი მაინც სავალდებულოა საბჭოს წევრებისთვის, როგორც იურიდიული ძალის მქონე სამართლებრივი აქტი, და ქვეყნებს მოეთხოვებათ მასში გათვალისწინებული პრინციპების დაცვა. ევროპის საბჭოს მიერ რეკომენდაციების მიღების მიზანია წევრებს შორის ერთიანობის განმტკიცება, რათა დაიცვას და განახორციელოს ის იდეალები და პრინციპები, რომლებიც მათ საერთო მემკვიდრეობას წარმოადგენს. ამრიგად, ჩვენ განვიხილავთ პლურალიზმსა და დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებულ ევროსაბჭოს რეკომენდაციებს, როგორც საერთაშორისო კანონმდებლობის ნაწილს, რომლებიც პირდაპირ ვრცელდება საქართველოზე.

ევროპის საბჭო წევრ სახელმწიფოებს ურჩევს:

1. გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, რათა წინამდებარე რეკომენდაციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე ბრძოლა გამოუცხადონ სიძულვილის გამოხატვას;

2. უზრუნველყონ, რომ ეს ნაბიჯები იქცეს ამ მოვლენისადმი კომპლექსური მიდგომის ნაწილად, რომელიც ასევე, მიმართული იქნება მისი განმაპირობებელი სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა ფაქტორებისკენ;

3. ხელი მოაწერონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მოახდინონ მისი რატიფიცირება და ეფექტური გატარება ეროვნულ კანონმდებლობაში, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივების წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ მინისტრთა კომიტეტის (68) 30 რეზოლუციის შესაბამისად;

4. გადახედონ შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკას წინამდებარე რეკომენდაციის დანართში მოყვანილ პრინციპებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

კომენტარები რეკომენდაციაზე

ყოველი ადამიანის ღირსების თანასწორობისადმი შემწყნარებლობა და პატივისცემა დემოკრატიული და პლურალისტური საზოგადოების მნიშვნელოვანი საფუძველია. ამ რეკომენდაციის შედგენისას ევროის საბჭომ ერთმანეთისგან გამიჯნა: 1) როლი, რომელიც მედიამ შეიძლება ითამაშოს რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის და შეუწყნარებლობის პროპაგანდაში და 2) წვლილი, რომელიც მედიამ შეიძლება შეიტანოს ამ მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ განსხვავების გაკეთება საჭიროდ ჩაითვალა, ვინაიდან სავალდებულო სამართლებრივი მექანიზმების დადგენის ფარგლები და მიზანშეწონილობა მნიშვნელოვნად განსხვავებულია ამ ორი საკითხისთვის. რასიზმისა და შეუწყნარებლობის პროპაგანდასთან მიმართებაში, ძირითადად, გასათვალისწინებელია, რომ სავალდებულო სამართლებრივი სტანდარტების დაწესებისას არ უნდა დაირღვეს გამოხატვის თავისუფლება და ჟურნალისტური თავისუფლების პრინციპი. მედიის პოზიტიური წვლილის განმტკიცებისას კი განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო, რათა არ მოხდეს ამ პრინციპებში ჩარევა. ამ სფეროს სამართლებრივ მექანიზმებზე მეტად ხელშემწყობი ზომების გატარება ესჭიროება.

I და II აბზაცებიდან ჩანს, რომ გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას სამართლებრივი მექანიზმების მეშვეობით სიძულვილის გამოხატვასთან საბრძოლველად, მაგრამ მხოლოდ სამართლებრივი მექანიზმები საკმარისი არ იქნება ამ პრობლემის გადასაჭრელად, თუ მხედველობაში მივიღებთ გლობალური მიდგომის აუცილებლობას და საზღვრებს, რომლებითაც გამოხატვის თავისუფლება და ჟურნალისტური თავისუფლება ზღუდავს სახელმწიფოს მოქმედებებს. სიძულვილის გამოხატვის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული ღონიეძიებების საბოლოო მიზანი უნდა იყოს საზოგადოებაში რასიზმისა და შეუწყნარებლობის სხვა ფორმების აღმოფხვრა. ამის მიღწევა შეუძლებელია მხოლოდ სიძულვილის გამოხატვაზე ფოკუსირებით. სიძულვილის გამოხატვა შეიძლება განვიხილოთ როგორც შეუწყნარებლობის გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა (მაგ. რასობრივი მოტივით ჩადენილი დანაშაული, დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებები და სხვ.). გარდა ამისა, აღნიშნული მოვლენის (შეუწყნარებლობის) ასეთ გამოვლინებებს აქვს უფრო

ღრმა ფესვები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ, ისტორიულ და სხვა ფაქტორებთან. ეს სრულებითაც არ გამორიცხავს სიძულვილის გამოხატვის წინააღმდეგ მიმართული ზომების აუცილებლობას, მაგრამ აქედან ჩანს, რომ საჭიროა ამ მექანიზმების ინტეგრირება უფრო კომპლექსურ პოლიტიკურ მიდგომაში, რომელშიც სამართლებრივ მექანიზმებთან ერთად გაერთიანებული იქნება პოლიტიკური მექანიზმებიც – მაგალითად, განათლებისა და ინფორმირებულობის ამაღლების სფეროში, კულტურაში, სოციალურ პოლიტიკაში, სამეცნიერო კვლევაში და სხვ.

მე-3 აბზაცში რეკომენდირებულია, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა ხელი მოაწერონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ, მოახდინონ მისი რატიფიცირება (ან მიუერთდნენ მას) და ეფექტური იმპლემენტაცია. ფაქტობრივად, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების ნაწილი ჯერ არ გამხდარა ამ კონვენციის მონაწილე.

კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ შეიცავს რამდენიმე დებულებას, რომლებიც პირდაპირ კავშირშია რასისტულ გამოხატვასა და რასობრივი შუღლის გაღვივებასთან. კერძოდ, მე-4 მუხლი ავალდებულებს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ „კანინით დასჯად სამართალდარღვევად გამოაცხადონ ყოველგვარი იდეის გავრცელება, რომლის საფუძველიც არის რასობრივი უპირატესობა ან სიძულვილი ანდა რასობრივი დისკრიმინაციისკენ მოწოდება, ასევე რომელიმე რასის ან განსხვავებული კანის ფერის ან ეთნიკური წარმომავლობის ჯგუფის წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა ან ასეთი ქმედებისკენ წაქეზება და რასისტული საქმიანობისთვის დახმარების გაწევა, ნებისმიერი ფორმით, ფინანსური მხარდაჭერის ჩათვლით“. ამ ვალდებულებაში ასევე იგულისხმება, რომ მონაწილე სახელმწიფოები „სათანადო პატივისცემას“ უნდა გამოხატავდნენ ადმიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პრინციპებისა და რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლში ნათლად ჩამოყალიბებული უფლებებისადმი; ამ უფლებებს შორის არის გამოხატვის თავისუფლების ძირი-

თადი უფლება, რომელიც ასევე, აღიარებულია საყოველთაო დეკლარაციის მე-19 მუხლით.

რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლის რეგულირების საჭიროებას და ამავე დროს, სხვა ძირითადი უფლებების დაცვის აუცილებლობას ხაზი გაესვა მინისტრთა კომიტეტის (68) 30 რეზოლუციაში, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური შუღლის გაღვივების წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ, რომელზეც მითითებულია რეკომენდაციის მე-3 აბზაცში. ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლომ 1994 წლის 23 სექტემბრის საქმეზე – ჯერსილდი დანიის წინააღმდეგ (სერია ა, ტომი 298, აბზ. 30) გადაწყვეტილების გამოტანისას მიიჩნია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-10 მუხლიდან (გამოხატვის თავისუფლება) გამომდინარე მოპასუხის ვალდებულების განმარტება მაქსიმალურად ფართოდ უნდა მომხდარიყო, რათა შესაბამისობაში მოსულიყო რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან.

წევრი სახელმწიფოებისადმი მიმართული ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია № R (97) 21 მედიისა და შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცების შესახებ

ევროპის საბჭოს რეკომენდაციით წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა უნდა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

1. წინამდებარე რეკომენდაციის დანართში მოცემული მოქმედების საშუალებები გააცნონ შემდეგ მიზნობრივ ჯგუფებს:

- პრესას, ტელე და რადიო კომპანიებს, ასევე, ახალ საკომუნიკაციო და სარეკლამო სექტორებს;
- აღნიშნულ სექტორებში მედიის მუშაკთა წარმომადგენლობით ორგანოებს;
- ამ სექტორების მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებს;
- ჟურნალისტიკის სკოლებსა და მედიის სასწავლო ინსტიტუტებს;

2. პოზიტიური განწყობით განიხილონ ყველა თხოვნა, რომელიც უკავშირდება ამ რეკომენდაციის მიზნების მისაღწევად გამოვლენილ ინიციატივებს.

კომენტარები რეკომენდაციაზე

რეკომენდაციის ძირითად ნაწილში მოცემულია რჩევა წევრი სახელმწიფოების მთავრობებისთვის, რათა მათ შექმნან კომპანიები, აღნიშნული სააგენტოების, ორგანიზაციების, ორგანოებისა და ინსტიტუტების სახით, რომელთათვისაც ცნობილი იქნება მოქმედების საშუალებები. ამ რეკომენდაციის მიზანია, შესთავაზოს მათ შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებისკენ მიმართული პრქტიკული მაგალითები, რომელთა ეფექტურობა დამტკიცებულია, და ამიტომ, მიზანშეწონილია მათი გამოყენება მედიის სხვადასხვა სექტორებში.

ამ განყოფილებაში ნათლად არის ასახული ზოგადი მიდგომა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ რეკომენდაციას და უკავშირდება როლებისა და პასუხისმგებლობის გადანაწილებას, ერთი მხრივ, მთავრობებსა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ორგანოებს შორის და მეორე მხრივ, მედიის სხვადასხვა სექტორებში. „სიძულვილის გამოხატვას“ რაც შეეხება,

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ დადგენილი სავალდებულო მექანიზმები შეიძლება შესაფერისი აღმოჩნდეს კანონის დარღვევასთან საბრძოლველად, ხოლო ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება მთავრობებმა გაატარონ, მედიის ავტონომიურობისა და თავისუფლების გათვალისწინებით, შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებაში მედიის მოსალოდნელ წვლილთან დაკავშირებით, ძირითადად, არასამართლებრივი ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, გარდა იმ მოქმედებებისა, რომლებიც მედიამ ან მედიის ცალკეულმა სექტორებმა შეიძლება თვითონ განახორციელონ, მთავრობების მიერ მიღებული ზომებიც უნდა მოიცავდეს, ძირითადად, მედიის დახმარებასა და ხელშეწყობას. ეს რეკომენდაცია აღქმული უნდა იქნას სწორედ ამ კონტექსტში.

ასეთი ხელშეწყობა და წამახალისებელი ღონისძიებები შეიძლება სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს, რაც დამოკიდებულია მედიის იმ კონკრეტულ სექტორზე, რომელსაც ისინი უკავშირდება. ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს საჭირო ინფორმაციის გავრცელება, მათ შორის ამ რეკომენდაციის შესახებ, მაგრამ არსებობს სხვა მაგალითებიც: საზოგადოებრივი კამპანიების ორგანიზება, მათი განხორციელება და პოპულარიზაცია, სამეცნიერო ნაშრომებისა და კვლევების გავრცელება, რომლებიც ხელს შეუწყობს დებატების გამართვას მედიის სექტორებში; იმ ორგანიზაციებისა და ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ცდილიბენ მედიის წრეებში შემწყნარებლობის განმტკიცების აუცილებლობის შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებას. ეს არის რეკომენდაციის ძირითადი ნაწილის მეორე აბზაცის ძირითადი არსი.

№ R (97) 21 რეკომენდაციის დანართი

გამოყენების სფერო

ქვემოთ განხილული სამოქმედო საშუალებების მიზანია, წარმოაჩინოს პროფესიული საქმიანობის არასრული მაგალითები, რომლებიც ხელს უწყობს შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებას და განკუთვნილია უფრო ზოგადი გამოყენებისთვის მედიის სხვადასხვა სექტორებში, რომლებზეც ზემოთ იყო საუბარი.

პროფესიული საქმიანობის სახეები, რომლებიც ხელს უწყობს შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებას

1. ტრენინგი

პირველადი ტრენინგი

ჟურნალისტიკის სკოლებსა და მედიის სასწავლო ინსტიტუტებს, პროფესიონალიზმის არსის განვითარების მიზნით, შეუძლიათ თავიანთ ძირითად სასწავლო პროგრამაში წარმატებით შეიტანონ სპეციალური კურსები (თუ ჯერ კიდევ არ განუხორციელებით ეს), რომლებშიც ყურადღება დაეთმობა:

- მედიის მონაწილეობას მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ საზოგადოებებში;
- წვლილს, რომლის შეტანაც მედიას შეუძლია სხვადასხვა ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესების საქმეში.

შემდგომი ტრენინგი

მედია კომპანიებს შეუძლიათ წარმატებით უზრუნველყონ შემწყნარებლობასა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებული პროფესიული სტანდარტების შესახებ შიდა ტრენინგების ჩატარება მათი მედია მუშაკებისთვის, ყველა დონეზე, და ასევე, მისცენ მათ საშუალება დაესწრონ მსგავს ტრენინგებს, რომლებიც ჩატარდება მათი კომპანიების გარეთ.

2. მედია კომპანიები

შეუწყნარებლობის პრობლემა მოითხოვს მსჯელობას როგორც საზოგადოებაში, ასევე მედია კომპანიებში. პროფესიონალური მედიის წრეების გამოცდილებამ აჩვენა, რომ შეიძლება სასარგებლო იყოს ამ კომპანიების მიერ ყურადღების გამახვილება შემდეგ საკითხებზე:

- რასისტული და შეუწყნარებლობის გამომხატველი ქმედებების შესახებ ფაქტებზე დაფუძნებული, ზუსტი ინფორმაციის მოწოდება;
- ჯგუფებს შორის არსებული დაძაბულობის ამსახველი გარემოებების შესახებ ინფორმაციის ფრთხილად და ფაქიზად მოწოდება;
- პუბლიკაციებსა და საპროგრამო მაუწყებლობებში კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წევრების დამამცირებელი სტერეოტიპის წარმოჩენის თავიდან აცილება;
- პიროვნების ქცევისადმი ისეთი დამოკიდებუ-

ლება, რომელიც არ უკავშირდება მის კუთვნილებას რომელიმე ჯგუფისადმი, სადაც ეს მიუღებელია;
- კულტურული, ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების წარმოჩენა ბალანსირებულად და ობიექტურად, ისე, რომ ასახული იყოს ამ ჯგუფების შეხედულებები და პერსპექტივა;
- საზოგადოებრივი აზრის მიმართვა შეუწყნარებლობის მანკიერებათა წინააღმდეგ;
- საზოგადოებაში განსხვავების გააზრებისა და შეფასების გაღრმავება;
- ისეთი მოსაზრებების დაგმობა, რომლებიც საფუძვლად უდევს გამომსვლელთა მიერ ინტერვიუებში, მოხსენებებში, გადაცემებში გამართულ დისკუსიებსა და სხვ დროს გაკეთებულ შეუწყნარებლობის გამომხატველ გაცხადებებს;
- ინფორმაციის მოწოდებისას მისი წყაროს ზეგავლენის მხედველობაში მიღება;
- მედია კომპანიების თანამშრომელთა მრავალფეროვნება და მათი მკითხველების, მსმენელებისა და მაყურებლების მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ მახასიათებლებთან შესაბამისობა.

3. მედიის მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოები

სხვადასხვა კატეგორიის მედიის მუშაკთა წარმომადგენლობით ორგანოებს შეუძლიათ წარმატებით განახორციელონ სამოქმედო პროგრამები და პრაქტიკული ინიციატივები, რომლებიც მიმართული იქნება შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებისკენ.

4. ქცევის კოდექსები

ასეთი ინიციატივები და მოქმედებები სრულ შესაბამისობაში იქნება მედიის სხვადასხვა სექტორებში შემუშავებული პროფესიული ქცევის კოდექსებთან, რომლებიც შეეხება დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის პრობლემას და მოუწოდებს მედიის მუშაკებს, პოზიტიური წვლილი შეიტანონ საზოგადოების სხვადასხვა რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებაში.

5. მაუწყებლობა

იმ დროს, როდესაც საზოგადოებრივ სამაუწყებ-

ლო კომპანიებს აკისრიათ შემწყნარებლობის კულტურისა და ურთიერთგაგების განმტკიცების განსაკუთრებული ვალდებულება, სამაუწყებლო მედია, მთლიანად, წარმოადგენს ეფექტურ ძალას ისეთი გარემოს შექმნისთვის, რომელშიც დაგმობილი იქნება შეუწყნარებლობა. სამაუყებლო მედიაზე შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს სამაუწყებლო კომპანიებმა, რომლებიც მაგალითად,

- სათანადოდ უზრუნველყოფენ პროგრამულ სამაუწყებლო მომსახურებას, ამასთან, პოპულარულ საეთერო დროს, რაც ხელს უწყობს ყველა პიროვნების, ჯგუფისა და საზოგადოების ინტეგრაციას და სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და სხვა ჯგუფებისთვის საეთერო დროის პროპორციულად გადანაწილებას;
- პროგრამის შინაარსისადმი აქვთ მულტიკულტურული მიდგომა, რათა თავიდან აიცილონ ისეთი გადაცემები, რომლებიც საზოგადოებას წარმოაჩენენ მონოკულტურულ და მონოლინგვისტურ ასპექტში;
- განამტკიცებენ მულტიკულტურულ მიდგომას ისეთი პროგრამების მეშვეობით, რომლებიც განკუთვნილია სპეციალურად ბავშვებისთვის და ახალგაზრდებისთვის, რათა ისინი აღიზარდნონ იმ შთაგონებით, რომ კულტურული, რელიგიური და ეთნიკური განსხვავება საზოგადოების ბუნებრივი და პოზიტიური ელემენტია;
- იღებენ შესაბამის ზომებს, რათა რეგიონალურ, ეროვნულ და ევროპულ დონეზე გავრცელდეს ისეთი მასალა, რომელიც ღირებულია შეუწყნარებლობის მანკიერებათა წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზების თვალსაზრისით ანდა ხელს უწყობს საზოგადოებრივი ურთიერთობების განმტკიცებას მულტიეთნიკურ და მულტიკულტურულ საზოგადოებებში.

6. რეკლამა

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი საზოგადოების მულტიეთნიკური და მულტიკულტურული ხასიათი უკვე ასახულია ცალკეულ კომერციულ რეკლამებში და რიგი რეკლამის განმათავსებლებისა ცდილობს, ისე დაამზადოს რეკლამა, რომ მასში ასახული იყოს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური მრავალფეროვნების დადებითი მხარე, პრაქტიკა, რომელ-

ზეც ქვემოთ იქნება საუბარი, შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ პროფესიონალთა შესაბამისი წრეების მონაწილეობით.

ცალკეულ ქვეყნებში სარეკლამო სექტორში მოხდა ქცევის კოდექსების შემუშავება, რომლებიც კრძალავს დისკრიმინაციას რასობრივ, კანის ფერის, ეროვნული წარმომავლობის ან სხვა საფუძველზე.

არსებობს მედია კომპანიები, რომლებიც უარს ამბობენ ისეთი სარეკლამო განცხადებების გაშვებაზე, რომლებშიც კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური განსხვავება ნეგატიურად არის წარმოჩენილი, მაგალითად, სტერეოტიპების გამყარების მეშვეობით.

ცალკეული საჯარო და კერძო ორგანიზაციები აწარმოებენ ისეთ სარეკლამო კამპანიებს, რომლებიც მიმართულია შემწყნარებლობის განმტკიცებისაკენ. მედიას უნდა მიეცეს შესაძლებლობა აქტიურად ჩაერთოს ასეთი რეკლამების გავრცელებაში.

კომენტარები დანართზე

პროფესიული საქმიანობა, რომელიც ხელს უწყობს შემყნარებლობის კულტურის განმტკიცებას

1. ტრენინგი

პირველადი ტრენინგი

პროფესიული პრინციპებისა და საქმიანობის პირველი დემონსტრირება სასწავლო ინსტიტუტებში მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ეტაპია პროფესიონალის კარიერაში. პროფესიონალური საქმიანობის მომავალი განვითარებისთვის ხდება უნარ-ჩვევების სწავლება და ცოდნის მიღება. ჟურნალისტიკის სკოლისა და მედიის სხვა სასწავლო ინსტიტუტების როლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ შექმნან მტკიცე საფუძველი, რომელზეც შესაძლებელი იქნება პროფესიონალიზმის აგება.

შემდგომი ტრენინგი

ევროსაბჭოს მტკიცებით, ტრენინგი, რომელიც შეეხება მედიის წვლილს შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებაში, წარმოადგენს განგრძობად სტრატეგიას. ამიტომ, დანართის ტექსტი მოუწოდებს მედია კომპანიებს, უზრუნველყონ შიდა ტრენინგების ჩატარება და კომპანიის ფარგლებს გარეთ ორგანიზებულ სასწავლო ლექციებსა და სემინარებში მონაწილეობის მიღება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ასეთი შესაძლებლობა მიეცეს იმ თანამშრომ-

ლებს, რომლებსაც შესწევთ უნარი, გარკვეულ ეტაპზე, ზეგავლენა მოახდინონ მედია კომპანიის სამუშაო სტრატეგიებზე, ვინაიდან ასეთი ადამიანები შეიძლება გახდნენ გარდაქმნის ინიციატორები და განმახორციელებლები.

2. მედია კომპანიები

შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებისთვის საჭიროა მედიის პროფესიონალების ხანგრძლივი და უწყვეტი ძალისხმევა. სწავლისას მიღებული ცოდნა მათ უნდა გამოიყენონ ყოველდღიური მუშაობისას მედია კომპანიაში.

სწორედ ამიტომ, რეკომენდაციის დანართში წარმოჩენილია კომპანიის შიგნით აზრთა გაცვლა-გამოცვლის მნიშვნელობა. შიდა დისკუსიას არაერთი დადებითი მხარე გააჩნია. პირველ რიგში, იგი აქტუალურობას უნარჩუნებს ამ სფეროში მედიის მოღვაწეობის საკითხს. ასევე, ხელს უწყობს შემწყნარებლობისადმი მგრძნობიარე სამოშაო გარემოს შექმნას. გარდა ამისა, ამ დისკუსიის მეშვეობით ყალიბდება სტანდარტები და გამოიკვეთება ნაკლოვანებები.

ტექსტში ჩამოთვლილია საუკეთესო პროფესიონალური პრაქტიკიდან აღებული საკითხები, რომლებიც აისახება ეთიკის კოდექსებში, ქცევის ნორმებში და სხვ. შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებაში კონკრეტული მედია კომპანიის წვლილის შესახებ დისკუსიისა და მსჯელობის გამართვის ინიციატივა შეიძლება მოდიოდეს კომპანიის რიგითი მუშაკების ან ხელმძღვანელობისგან.

3. მედიის მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოები

დანართი მიუთითებს სამოქმედო პროგრამებსა და პრაქტიკულ ინიციატივებზე, რომელთა მიხედვითაც შეიძლება მოქმედებდნენ მედიის მუშაკთა წარმომადგენლობითი ორგანოები, როგორიცაა ჟურნალისტთა, გამომცემელთა, რედაქტორთა, სამაუწყებლო ან სარეკლამო კომპანიების ასოციაციები და კავშირები და სხვ.

4. ქცევის კოდექსები

ევროპის ქვეყნებში მედიის მუშაკთა ბევრმა ორგანიზაციამ მიიღო ქცევის კოდექსი, რომელსაც საქმიანობის ან ეთიკის კოდექსსაც უწოდებენ. ამ კოდექ-

სების უმრავლესობა, მაგრამ ყველა არა, შეიცავს დებულებებს რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ. პროფესიული ქცევის კოდექსის დაცვის მონიტორინგის განსახორციელებლად ევროპის ბევრ ქვეყანაში შეიქმნა თვითმმართველობის ისეთი ორგანოები, როგორიცაა პრესის საბჭოები. თუმცა, ამ კოდექსებისა და თვითმმართველობის ორგანოების ეფექტურობა ზოგჯერ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და შესაძლოა, სამართლიანადაც, ვინაიდან საკმაოდ რთული აღმოჩნდა მათი ეფექტურობის მაჩვენებელი სურათი მიღება.

5. მაუწყებლობა

მოცემული დოკუმენტი შეეხება კონკრეტულად მაუწყებლობას, იმ ფართო გავრცელებისა და უშუალო და ძლიერი გავლენის გამო, რომელიც აუდიოვიზუალურ მედიას აქვს საზოგადოებაზე.

სამაუწყებლო საზოგადოების სპეციალისტები თქმით, მიუხედავად იმისა, რომ უმცირესობათა ჯგუფებისთვის მნიშვნელოვანია გარკვეული სახის პროგრამები (მაგ. უმცირესობის კულტურის შენარჩუნებისთვის, სამშობლოს შესახებ ინფორმაციის მიღებისთვის, ენის ცოდნისთვის, მათი უფლებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის და სხვ.), რომლებიც, შესაძლებელია, მეტადაც უნდა განვითარდეს იქ, სადაც საზოგადოების ცალკეული ჯგუფების მოთხოვნილებები სათანადოდ არ კმაყოფილდება (მაგ. ბევრ ქვეყანაში ადგილი აქვს ცალკეული რელიგიების არასაკმარისად წარმოჩენას რელიგიურ გადაცემებში), „ყოვლისმომცველი“ და მულტიკულტურული პროგრამები აუცილებელია საზოგადოებაში, როგორც ერთ მთლიანში, სხვადასხვა კულტურებისა და ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ურთიერთგაგების განმტკიცებისა და საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფების მარგინალიზაციის თავიდან ასაცილებლად.

თუმცა, არსებობს ბევრი ისეთი პროგრამული ჟანრი, სადაც შესაძლებელია, რომ გადაცემამ აშკარად შეუწყოს ხელი შემწყნარებლური კლიმატის შექმნას, რომელშიც „განსხვავება“ აღქმული იქნება მულტიკულტურული საზოგადოების ჩვეულებრივ ელემენტად. განსაკუთრებით, სპორტული პროგრამები იძლევა შესანიშნავ შესაძლებლობას, რომ ფართო აუდიტორიას წარუდგინონ სპორტი და სპორტული მოვლენები, როგორც შემთხვევები, როდესაც პიროვნე-

ბები და ხალხები ერთმანეთს ხვდებიან ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, სამართლიანი თამაშის სულისკვეთებით.

6. რეკლამა

რეკლამები, თავიანთი ხასიათიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ მოკლე, სხარტი და მახვილგონივრულია. მათი დამზადებისას ხშირად გამოიყენება კლიშეები და სტერეოტიპები. ამრიგად, რეკლამას ნეგატიური სტერეოტიპის დამკვიდრების დიდი პოტენციალი აქვს და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ამის თავიდან აცილებას.

რეკომენდაციის დანართის ბოლო აბზაცში საუბარია საჯარო და კერძო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებული კამპანიების შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავს შემწყნარებლობის განმტკიცებას და საზოგადოების უკეთესად ინფორმირებას შეუწყნარებლობის საშიში ეფექტის შესახებ.

დანართი

მრავალფეროვნებასა და მრავალფეროვნების გაშუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დებულებები

საქართველოს კონსტიტუცია (ამონარიდები)

მუხლი 14. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა.

მუხლი 34. 1. სახელმწიფო ხელს უწყობს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურული თვითმყოფობის გამოვლინებასა და გამდიდრებას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა აღიარებას და საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებას.

2. საქართველოს ყოველი მოქალაქე ვალდებულია ზრუნავდეს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით.

მუხლი 38. 1. საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად, უმცირესობათა უფლებების განხორციელება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს სუვერენიტეტს, სახელმწიფო წყობილებას, ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ (ამონარიდები)

მუხლი 16. შინაარსობრივი ვალდებულებები

საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს პროგრამების სარედაქციო დამოუკიდებლობა, სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; სახელისუფლებო, პოლიტიკური, რელიგიური და კომერციული გავლენისაგან თავისუფლება;

ბ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი ინტერესის შესაბამისი თანასწორობა ახალი ამბების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საგანმანათლებლო-შემეცნებით, კულტურულ და სპორტულ პროგრამებს შორის;

გ) უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

დ) საუკეთესო დროს გადასცეს ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები, ხოლო საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას – აგრეთვე წინასაარჩევნო დებატები;

ე) პროგრამებში არ გამოხატოს თავისი აზრი;

ვ) ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი;

ზ) ეთერის არანაკლებ 25% დაუთმოს დამოუკიდებელ პროგრამებს;

თ) პროგრამებში ასახოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება;

ი) ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები;

კ) გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესები;

ლ) ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას;

მ) სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები.

მუხლი 46. სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი

1. სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მფლობელი უნდა:

ა) ემსახურებოდეს თემის ინტერესებს;

ბ) უზრუნველყოფდეს მაუწყებლობის პროცესში იმ საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობას, რომელსაც იგი ემსახურება;

გ) უზრუნველყოფდეს მისი მომსახურების ზონაში მცხოვრები უმცირესობების აზრების გაშუქებას.

2. სათემო მაუწყებლობისათვის სიხშირულ სპექტრს ანაწილებს კომისია.

მუხლი 60. მაუწყებლის საკუთრების კონცენტრაციის აკრძალვა

პირს უფლება აქვს დამოუკიდებლად ან მასთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე პირთან ერთად ფლობდეს არა უმეტეს 1 საერთო საეთერო სატელევიზიო და 1 საერთო საეთერო რადიომაუწყებლობის ლიცენზიას თითო მომსახურების ზონაში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ამონარიდები)

მუხლი 142. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა

1. ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა მათი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური, რომელიმე წოდებისადმი ან საზოგადოებრივი გაერთიანებისადმი კუთვნილების, წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის ან ქონებრივი მდგომარეობის გამო, რამაც არსებითად ხელყო ადამიანის უფლება,-

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

2. იგივე ქმედება:

ა) სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით;

ბ) რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

მუხლი 151. მუქარა

სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის დაზიანების ანდა ქონების განადგურების მუქარა, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში,-

ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ვადით ას ოცდან ას ოთხმოც საათამდე ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ანდა ტუსაღობით ვადით სამ თვემდე.

მუხლი 317. მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ

საქვეყნოდ მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ, ანდა ასეთი მოწოდების შემცველი მასალის გავრცელება, აგრეთვე ამავე მიზნით შეიარაღებისაკენ მოწოდება,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

მუხლი 405. მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ

1. საქვეყნოდ მოწოდება აგრესიული ომის გაჩაღებისაკენ,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი საინფორმაციო საშუალებით ან სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე მქონე პირის მიერ,-

ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

მედიის პროფესიული სტანდარტი (ეთიკის კოდექსი)

პრეამბულა

ადამიანის უფლებაა ფლობდეს დროულ, ზუსტ და დაუმახინჯებელ ინფორმაციას.

ჟურნალისტის მოვალეობაა, საზოგადოებას მიაწოდოს ამომწურავი, მიუკერძოებელი და უტყუარი ინფორმაცია.

საზოგადოების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისას, ჟურნალისტი მოვალეა, დაიცვას პროფესიული სტანდარტით დადგენილი წესები.

ძირითადი დებულებები

ინფორმაციის, თვალსაზრისის და კომენტარის გამიჯვნა ინფორმაციის მიწოდებისას. ფაქტი, ჟურნალისტის თვალსაზრისი და მესამე პირის კომენტარი ერთმანეთისაგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს.

ინფორმაციის წყარო

თუ წყარო ინფორმაციის მიწოდებაზე მხოლოდ იმ პირობით თანხმდება, რომ ჟურნალისტი არ გაამჟღავნებს მის ვინაობას, თავის მხრივ, ჟურნალისტი ვალდებულია, დაიცვას პროფესიული საიდუმლოება მაშინაც კი, თუ ასეთი პოზიცია პრობლემას შეუქმნის მას.

შემოთავაზებული დათქმა: თუ დადასტურდა, რომ წყარომ შეგნებულად და ბოროტი განზრახვით შეიყვანა ჟურნალისტი შეცდომაში, მაშინ ეს პირობა შესაძლოა დაირღვეს.

ინფორმაციის ამა თუ იმ წყაროს შესაძლოა, პირადი ინტერესი ამოძრავებდეს, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ჟურნალისტი კრიტიკულად მოეკიდოს თავის წყაროს.

პროფესიული სტანდარტი გულისხმობს ფაქტების გადამოწმებას სხვა დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე. თუ ინფორმაციის გადამოწმება შეუძლებელია, მისი გავრცელებისას უნდა გაკეთდეს შესაბამისი დათქმა.

წყაროს დასახელება დამაჯერებლობას მატებს ინფორმაციას, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ინფორმაციის წყაროს დაცვის აუცილებლობას.

პასუხის უფლება და შესწორება

კრიტიკის ობიექტს უფლება აქვს, საზოგადოებას ამცნოს საკუთარი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

არასწორი ინფორმაცია უნდა გასწორდეს, როგორც კი ცნობილი გახდება გამოქვეყნებულ ინფორმაციაში არსებული შეცდომის შესახებ. შესწორება უნდა მოხდეს თანაზომადი ფორმით, რათა მკითხველმა/აუდიტორიამ იოლად შეამჩნიოს იგი.

დისკრიმინაცია

ჟურნალისტი მხოლოდ იმ შემთხვევაში მიუთითებს ამა თუ იმ პირის ეთნიკურ და რასობრივ კუთვნილებას, პოლიტიკურ და რელიგიურ მრწამსს, სოციალურ მდგომარეობას, კანის ფერს თუ სექსუალურ ორიენტაციას, თუ ეს ინფორმაცია პირდაპირ კავშირშია საქმის არსთან.

პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა

მედიამ პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას.

ადამიანის პირადი ცხოვრება, ამ პირის თანხმობის გარეშე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება გაშუქდეს მედიის საშუალებაში, თუ ეს შეესაბამება საზოგადოებრივ ინტერესებს.

ჟურნალისტი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს ბავშვების და იმ პირების პირად ცხოვრებას, რომლებიც ვერ აცნობიერებენ მათი განცხადებებით ან ქმედებებით გამოწვეულ შედეგს.

ჟურნალისტმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს ადამიანთა ჯანმრთელობის მდგომარეობის მითითებისას.

დათქმა:

თუ ეს პირი არის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები ან ასეთ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია, მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელება საზოგადოებრივ ინტერესებს შეესაბამება.

ჟურნალისტმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულთა და მათი ახლობლების ინტერესები, როცა საქმე უბედური შემთხვევების ან დანაშაულის გაშუქებას ეხება: არ დაასახელოს დაზარალებული პირის ვინაობა, ამ პირთა ოჯახის წევრებისთვის წინასწარი შეტყობინების გარეშე.

დათქმა:

თუ ეს პირი არ არის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღები ან ასეთ გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის მოხდენა შეუძლია.

არასრულწლოვანები

ინფორმაციამ არასრულწლოვანის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესახებ არ უნდა შეაფერხოს და გაართულოს მისი საზოგადოებრივი რეაბილიტაცია. ასეთ შემთხვევებში არ უნდა იყოს შესაძლებელი ვინაობის იდენტიფიცირება (თუ საქმე რეციდივს არ ეხება).

ინფორმაციის მოპოვება

ჟურნალისტი ინფორმაციას მოიპოვებს ღია საშუალებებით.

ფარული საშუალებებით სარგებლობა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მოპოვება სხვა გზებით შეუძლებელია.

სასამართლო პროცესები, კრიმინალური ამბები

სასამართლო პროცესის გაშუქებისას ჟურნალისტი ვალდებულია, მიუკერძოებლად, ხარისხობრივად თანაბრად წარმოადგინოს მხარეთა პოზიციები.

ჟურნალისტმა მკვეთრად უნდა გამიჯნოს ეჭვი და დამტკიცებული ბრალეულობა.

ეჭვმიტანილი პირი არ უნდა გამოცხადდეს დამნაშავედ სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

პროფესიული სტანდარტი მოითხოვს იმ სასამართლო პროცესის შედეგის გამოქვეყნებას, რომლის მიმდინარეობის შესახებ საინფორმაციო საშუალება მანამდე იუწყებოდა.

ჟურნალისტმა სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის თანხმობის გარეშე არ უნდა მოახდინოს მისი იდენტიფიცირება.

პირადი გამორჩენა/ანგარება

პროფესიულ სტანდარტებთან შეუთავსებელია, რომ ინფორმაციის გავრცელების ან გაუვრცელებლობის საზღაურად ჟურნალისტმა ან მისი ოჯახის წევრმა გარეშე პირებისგან მიიღოს რაიმე სარგებელი.

ინტერესთა კონფლიქტი

ჟურნალისტის პროფესია შეუთავსებელია აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობასთან, სარეკლამო თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის და სპეციალურ სამსახურებში თანამშრომლობასთან, აგრეთვე სხვა საქმიანობასთან, რომელმაც შეიძლება ეჭვის ქვეშ დააყენოს ჟურნალისტისა და ჟურნალისტის პროფესიის სანდოობა.

საავტორო უფლებები

იმ შემთხვევაშიც კი, როცა საქმე საავტორო უფლებების დაცვას არ ეხება და ჟურნალისტი სარგებლობს უკვე გამოქვეყნებული/გავრცელებული ინფორმაციით, პროფესიული სტანდარტი მოითხოვს ავტორის ვინაობის მითითებას.

რეკლამა

ჟურნალისტური ინფორმაცია და სარეკლამო მასალა მკაფიოდ უნდა იყოს გამიჯნული ერთმანეთისგან.

საზოგადოებრივი აზრის კვლევა

საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების გაშუქებისას საჭიროა მიეთითოს კვლევის მეთოდი, გამოკითხულთა რაოდენობა, დასმული შეკითხვის ზუსტი ტექსტი, სავარაუდო ცდომილება, კვლევის ჩატარების დრო, დამკვეთი და შემსრულებელი.

ფოტოილუსტრაცია

კონკრეტული ინფორმაციის ილუსტრაცია მკვეთრად უნდა იყოს გამიჯნული საარქივო, სიმბოლური და დამონტაჟებული გამოსახულებებისაგან.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენცია

მუხლი 9. აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება; ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის გაცვლის თავისუფლებას მარტო თუ სხვებთან კავშირში და საჯაროდ თუ კერძოდ, თავისუფლებას გამოამჟღავნოს მისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით.

2. ადამიანის რწმენისა და რელიგიის გამომჟღავნების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც განსაზღვრულნი არიან კანონით და აუცილებელნი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის ან მორალის, ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის.

მუხლი 10. გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას ჰქონდეს მოსაზრებანი; მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი არ შეუშლის ხელს სახელმწიფოებს მოითხოვონ რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის ან კინოწარმოების ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, იმის გამო,

რომ იგი მოიცავს ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ ფორმალობებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სასჯელს, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან კანონით და აუცილებელნი არიან დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებიდან გამომდინარე, უწესრიგობისა და დანაშაულის აღკვეთისათვის, ჯანმრთელობისა და მორალის, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვისათვის, კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილებისა ან სასამართლოს თავისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნებისათვის.

მუხლი 14. დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციაში მოცემული უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება უზრუნველყოფილი იქნება ყველასათვის ნებისმიერ საფუძველზე დისკრიმინაციის გარეშე, ისეთებზე, როგორებიცაა სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან განსხვავებული აზრი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, გაერთიანება ეროვნულ უმცირესობასთან, ქონება, დაბადება ან სხვაგვარი სტატუსი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციის ოქმი №12

ქვემორე ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები

პატივს სცემენ რა ფუნდამენტურ პრინციპს, რომლის თანახმად, ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია და ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ;

მიიღეს რა გადაწყვეტილება, გაატარონ დამატებითი ზომები ყოველი ადამიანის თანასწორობის განმტკიცებისთვის, დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვის ერთობლივად იმპლიმენტაციით, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის (შემდეგში – „კონვენცია“) მეშვეობით, რომელსაც ხელი მოეწერა 1950 წლის 4 ნოემბერს რომში;

ადასტურებენ რა, რომ დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპი არ ზღუდავს მონაწილე სახელმწიფო-

ებს, მიიღონ ზომები, რათა დაამკვიდრონ სრული და ეფექტური თანასწორობა, იმ შემთხვევაში, თუ ასეთ ზომებს აქვს ობიექტური და რაციონალური გამართლება,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1. დისკრიმინაციის ზოგადი აკრძალვა

1. კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების გამოყენება უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე, სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი, წოდებრივი ან სხვა სტატუსის საფუძველზე.

2. არავინ არ შეიძლება იქნას დისკრიმინირებული სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მიერ ამ მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვილილი რომელიმე საფუძვლით.

მუხლი 2. სივრცეში მოქმედება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს ხელმოწერის ან სარატიფიკაციო, დამტკიცების ან მიღების სიგელის დეპონირების დროს განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც ეს ოქმი გავრცელდება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს შემდგომშიც, ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი განცხადებით მიმართვის მეშვეობით, გაავრცელოს ამ ოქმის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე. ასეთი ტერიტორიისთვის ოქმი ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ განცხადების მიღების დღიდან სამ თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ რიცხვში.

3. ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად შედგენილი ნებისმიერი განცხადება, მასში დასახელებულ ნებისმიერ ტერიტორიასთან მიმართებაში, შეიძლება უკან იქნას გატანილი ან შეიცვალოს, გენერალური მდივნისთვის შესაბამისი ცნობის მიწოდების შემთხვევაში. ცვლილება ან უარი ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ასეთი ცნობის მიღების დღიდან სამ თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ რიცხვში.

4. ამ მუხლის შესაბამისად შედგენილი განცხადება

ჩაითვლება კონვენციის 56-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად შედგენილად.

5. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც გააკეთებს განცხადებას ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, უფლება აქვს შემდგომში, ნებისმიერ დროს განცხადებაში დასახელებული ერთი ან მეტი ტერიტორიის სახელით, განაცხადოს ევროპის სასამართლოს კომპეტენციის აღიარების შესახებ, რათა სასამართლომ მიიღოს ამ ოქმის I მუხლთან დაკავშირებული ფიზიკური პირების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და პირთა ჯგუფების სასარჩელო განცხადებები, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის 34-ე მუხლი.

მუხლი 3. კავშირი კონვენციასთან

მონაწილე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში ამ ოქმის I და II მუხლები განიხილება კონვენციის დამატებით მუხლებად და შესაბამისად, გამოიყენება კონვენციის ყველა დებულება.

მუხლი 4. ხელმოწერა და რატიფიკაცია

ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის, რომელთაც ხელი აქვთ მოწერილი კონვენციაზე. იგი უნდა იქნას რატიფიცირებული, მიღებული ან დამტკიცებული. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს არ მოახდინოს ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, წინასწარ ან ერთდროულად კონვენციის რატიფიცირების გარეშე. რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების სიგელების დეპონირება ხდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 5. ძალაში შესვლა

1. ოქმი ძალაში შედის ევროპის საბჭოს ათი წევრი სახელმწიფოს მიერ, მე-4 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, ოქმის მათზე გავრცელების შესახებ თანხმობის გამოხატვის დღიდან, სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ რიცხვში.

2. ნებისმიერ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც შემდგომში გახატავს თანხმობას მასზე ამ ოქმის გავრცელების შესახებ, იგი ძალაში შევა რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელის დეპონირების დღიდან სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, მომდევნო თვის პირველ რიცხვში.

მუხლი 6. დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ატყობინებს ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს:

ა. ყოველი ხელმოწერის შესახებ;

ბ. ყოველი რატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების სიგელის დეპონირების შესახებ;

გ. მე-2 და მე-5 მუხლების შესაბამისად, ოქმის ძალაში შესვლის ყველა თარიღს;

დ. ოქმთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, ცნობის ან შეტყობინების შესახებ.

რის დასადასტურებლადაც ქვემორე ხელმომწერებმა, იყვნენ რა ამისათვის სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (ამონარიდები)

მუხლი 1

ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი ღირსებითა და უფლებებით. ისინი დაჯილდოებულნი არიან გონებითა და სინდისით და ერთმანეთს უნდა მოექცნენ ძმობის სულისკვეთებით.

მუხლი 2

ყველას შეუძლია ისარგებლოს ამ დეკლარაციაში აღიარებული უფლებებითა და თავისუფლებებით, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობისა, ქონებრივი, ქონებრივი ან სხვა სტატუსისა.

გარდა ამისა, დაუშვებელია რაიმე განსხვავება იმ ქვეყნის ან ტერიტორიის პოლიტიკური, სამართლებრივი ან საერთაშორისო სტატუსის საფუძველზე, რომელსაც ადამიანი ეკუთვნის, მიუხედავად იმისა ეს ქვეყანა ან ტერიტორია დამოუკიდებელია, სამეურვეო, არათვითმმართველი თუ სხვაგვარად არის შეზღუდული მისი სუვერენიტეტი.

მუხლი 7

ყველა თანასწორია კანონის წინაშე და ყველას აქვს უფლება, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, თანაბრად იყოს დაცული კანონის მიერ. ყველას აქვს უფლება თანაბრად იყოს დაცული ყოველგვარი დის-

კრიმინაციისგან, რომელიც არღვევს ამ დეკლარაციას, და ნებისმიერი მოწოდებისგან ასეთი დისკრიმინაციისკენ.

მუხლი 10

ყველას თანაბარი უფლება აქვს, მისი საქმე სამართლიანად და საჯაროდ იქნას განხილული, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების ორგანოს მიერ, რათა დადგინდეს მისი უფლება-მოვალეობები ან წაყენებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობა.

მუხლი 26

ყველას აქვს განათლების მიღების უფლება. დაწყებითი და საბაზისო განათლება უფასოა. დაწყებითი განათლება სავალდებულოა. ტექნიკური და პროფესიული განათლება ყველასთვის ხელმისაწვდომია, უმაღლესი განათლება კი – ყველასთვის თანაბრად მისაწვდომი, დამსახურების მიხედვით.

განათლება მიმართული უნდა იყოს პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემის განმტკიცებისკენ. მან ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა ხალხებსა და რასობრივ თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის ურთიერთგაგების, შემწყნარებლობისა და მეგობრობის განმტკიცებასა და გაერთიანებული ერების საქმიანობას მშვიდობის შენარჩუნებისთვის.

მშობლებს აქვთ უპირატესი უფლება, თავად აირჩიონ განათლების სახე, რომელსაც მათი მცირეწლოვანი შვილები მიიღებენ.

საერთაშორისო პაქტი მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ამონარიდები)

მუხლი 2

1. ამ პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო იღებს ზომებს პატივი სცეს და უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე და მის იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ინდივიდისათვის წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებები. ყოველგვარი განსხვავების გარეშე, როგორიც არის რასა, ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური ან სხვა რწმენა, ეროვნული ან სოციალური

წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება ან სხვა გარემოება.

2. თითოეული მონაწილე სახელმწიფო, თუკი ასეთი არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით ან სხვა ზომებით, წინამდებარე პაქტის თანახმად ღებულობს აუცილებელ ღონისძიებებს, იმისათვის, რომ კონსტიტუციური პროცესისა და ამ პაქტის დებულებების შესაბამისად დაადგინოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რაც საჭიროა პაქტში აღიარებული უფლებების ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

3. თითოეული წევრი სახელმწიფო იღებს ზომებს:

ა. უზრუნველყოს, რომ თითეულ პირს, ვისი აღიარებული უფლებები ან თავისუფლებები დაირღვა, ჰქონდეს ეფექტური დაცვის საშუალებები, დამოუკიდებლად იმისა ჩადენილი იყო თუ არა ასეთი დარღვევა პირისაგან ოფიციალურ რანგში;

ბ. უზრუნველყოს, რომ თითეულ პირს, რომელიც ითხოვს ეფექტური დაცვის საშუალებებს, ჰქონდეს უფლება დაცვის ასეთი საშუალებების დაუდგინოს კომპეტენტურმა სასამართლო, აღმასრულებელმა ან საკანონმდებლო ხელისუფლებამ, ან სხვა კომპეტენტურმა ხელისუფლებამ, რომელსაც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემით მინიჭებული აქვს ასეთი უფლებამოსილება, და უზრუნველყოს სასამართლო დაცვის საშუალებების სრულყოფა;

გ. უზრუნველყოს, რომ კომპეტენტური ხელისუფლებები ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ უფლებამოსილებას.

მუხლი 14

1. ყველა პირი თანასწორია სასამართლოების და ტრიბუნალების წინაშე. სისხლის სამართლის საქმეზე პირის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების ან სასარჩელო საქმეზე უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას, თითოეული პირი უფლებამოსილია საქმის სამართლიან და საჯარო განხილვაზე კანონის საფუძველზე შექმნილი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ. პრესა და საზოგადოება შეიძლება არ იქმას დაშვებული სამსჯავრო განხილვაზე მთლიანად ან მის ნაწილზე მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების მოსაზრებით დემოკრატიულ საზოგადოებაში, ან როდესაც ამას ითხოვს მხარეთა კერძო ცხოვრების ინტერესი ან იმ ზომით, რაც

სასამართლოს აზრით, მკაცრად აუცილებელია ისეთი საგანგებო გარემოებების არსებობისას, როდესაც საჯაროობას შუძლია ზიანი მიაყენოს სამართლიანობის ინტერესებს; მაგრამ ნებისმიერი გადაწყვეტილება სისხლის სამართლის საქმეზე ან სასარჩელო საქმეზე ქვეყნდება საჯაროდ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვანთა ინტერესები სხვას მოითხოვენ ან როდესაც საქმე ეხება მატრონომიალურ დავებს ან მეურვეობას ბავშვებზე.

2. დანაშაულში ბრალდებულ პირს უფლება აქვს ითვლებოდეს უდანაშაულოდ, მანამ მისი ბრალი არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად.

3. პირის წინააღმდეგ დანაშაულში ბრალდების წარდგენისას, იგი უფლებამოსილია შემდეგ მინიმალურ გარანტიებზე სრული თანასწორობის დაცვით:

ა. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დეტალურად იყოს ინფორმირებული მის წინააღმდეგ წარდგენილი ბრალდების ხასიათისა და საფუძვლის შესახებ;

ბ. ჰქონდეს საკმარისი დრო და სათანადო პირობები დაცვის მოსამზადებლად და მის მიერ შერჩეულ მრჩეველთან ურთიერთობისა;

გ. გასამართლდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

დ. გასამართლდეს მისი თანდასწრებით და დაიცვას თავი თვითონ ან მის მიერ შერჩეული ოფიციალური დამცველის მეშვეობით; იყოს ინფორმირებული, თუ არა ჰყავს ოფიციალური დამცველი, ასეთის ყოლის უფლების შესახებ; იყოლიოს დანიშვნითი დამცველი ყველა შემთხვევაში, როდესაც მართლმსაჯულების ინტერესები ამას ითხოვენ ანაზღაურების გარეშე ყველა ასეთ შემთხვევაში და თუ მას არ აქვს საკმარისი სახსრები ასეთი დამცველის მომსახურეობის ასანაზღაურებლად;

ე. დაკითხოს ან დაკითხული იქნენ ის მოწმეები, რომლებიც მის წინააღმდეგ, ჩვენების მისაცემად გამოძახებული და დაკითხული იქნენ მისი მოწმეები იმავე პირობებში, რომლებშიც დაიკითხნენ მის წინააღმდეგ ჩვენების მიმცემი მოწმეები;

ვ. დაუბრკოლებლად ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს ის ენა ან ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება სასამართლოში;

ზ. არ იყოს იძულებული მიცეს ჩვენება თავის საწინააღმდეგოდ ან აღიაროს ბრალი.

1. არასრულწლოვანთა საქმეებზე პროცესი უნდა იყოს ისეთი, რომ მხედველობაში იღებდეს წლოვანებას და ხელს უწყობდეს მათ გამოსწორებას.

2. დანაშაულისათვის მსჯავრდებულ ყოველ პირს უფლება აქვს, რომ მისი ბრალდება და სასჯელი გადასინჯული იქნას ზემდგომი სასამართლოს მიერ კანონის შესაბამისად.

3. თუკი რომელიმე პირი საბოლოო გადაწყვეტილებით მსჯავრდებული იქნა დანაშაულისათვის, მაგრამ მის მიმართ გამოტანილი განაჩენი შემდგომში გაუქმდა, ან იგი შეიწყალეს ახალი ან ახლად აღმოჩენილი ფაქტის გამო, რაც ადასტურებს სასამართლო შეცდომის არსებობას, მაშინ პირი რომელსაც დაედო სასჯელი, ასეთი ბრალდების გამო იღებს კომპენსაციას კანონის შესაბამისად, თუკი არ იქნა დამტკიცებული, რომ ეს უცნობი ფაქტი თავის დროზე არ იქნა აღმოჩენილი მთლიანად ან ნაწილობრივ მისივე ბრალით.

არავინ არ შეიძლება გასამართლებული ან დასჯილი იქნეს განმეორებით დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი საბოლოოდ მსჯავრდებული ან გასამართლებული იყო შესაბამისი ქვეყნის კანონისა და სისხლის სამართლის შესაბამისად.

მუხლი 20

ომის ნებისმიერი პროპაგანდა უნდა აიკრძალოს კანონით.

1. ნაციონალური, რასობრივი და რელიგიური სიძულვილის ქადაგება, რაც დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებაში გამოიხატება, უნდა აიკრძალოს კანონით.

მუხლი 26

ქვეყნებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობანი, პირებს, რომლებიც ეკუთვნიან ასეთ უმცირესობებს, არ შეიძლება უარი ეთქვათ უფლებაზე ამ ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ისარგებლონ საკუთარი კულტურით, იქადაგონ საკუთარი რელიგია და შეასრულონ ღვთისმსახურება, იხმარონ საკუთარი ენა.

მუხლი 27

ყველა პიროვნება თანასწორია კანონის წინაშე და უფლებამოსილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე კანონით თანასწორ დაცვაზე. ამ მიმართებით, კანონ-

მა უნდა აკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და ყველა პიროვნებისათვის უზრუნველყოს თანასწორი და ეფექტური დაცვა დისკრიმინაციისაგან რასის, ფერის, სქესის, რელიგიის, ქონებრივი, დაბადების ან სხვაგვარი სტატუსის საფუძველზე.

რეკომენდაცია R (97) 20 სიძულვილის გამოხატვის შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997 წლის 30 ოქტომბერს მინისტრთა მოადგილეების 607-ე სხდომაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15.ბ მუხლის პირობათა თანახმად, ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთობის მიღწევა მათი საერთო მემკვიდრეობის იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და ცხოვრებაში გატარების მიზნით;

კვლავ იხსენებს რა ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისა და მთავრობათა მეთაურების მიერ 1993 წლის 9 ოქტომბერს ვენაში მიღებულ დეკლარაციას;

კვლავ იხსენებს რა, რომ ვენის დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა ღრმა შეშფოთება რასიზმის, ქსენოფობიისა და ანტისემიტიზმის აღორძინებისა და მზარდი შეუწყნარებლობის თაობაზე და რომ დეკლარაცია ითვალისწინებს ვალდებულებას ებრძოლოს ნებისმიერ იდეოლოგიას, პოლიტიკასა და პრაქტიკას, რომელიც მოუწოდებს რასობრივი სიძულვილისაკენ, ძალადობისა და დისკრიმინაციისაკენ, აგრეთვე, ნებისმიერ ქმედებას ან სიტყვით გამოსვლის ფორმულირებას, რომელსაც შეუძლია გააძლიეროს შიში და დაძაბულობა სხვადასხვა რასობრივი, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური და სოციალური წარმომავლობის ჯგუფებს შორის;

კვლავ ადასტურებს რა თავის ღრმა ერთგულებას გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების მიმართ, როგორც ეს წარმოდგენილია 1982 წლის 29 აპრილის დეკლარაციაში გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ;

გმობს რა, ვენის დეკლარაციისა და დემოკრატიულ საზოგადოებაში მედიის შესახებ დეკლარაციის, რომელიც მიღებულ იქნა ევროპული ქვეყნების მინისტრთა მე-4 კონფერენციაზე მასმედიის პოლიტიკის შესახებ (პრაღა, 1994 წლის 7-8 დეკემბერი), შესაბა-

მისად, გამოხატვის ყველა ფორმას, რომლებიც მოუწოდებს რასობრივი შუღლისაკენ, ქსენოფობიისაკენ, ანტისემიტიზმისა და ყველა ფორმის შეუწყნარებლობისაკენ, რადგანაც ისინი ძირს უთხრის დემოკრატიის უსაფრთხოებას, კულტურათა ურთიერთკავშირსა და პლურალიზმს;

აღნიშნავს რა, რომ გამოხატვის ამგვარ ფორმებს შესაძლოა ჰქონდეთ უფრო დიდი და დამანგრეველი ზეგავლენა, როდესაც ისინი ვრცელდება მედიის საშუალებით;

დარწმუნებულია რა, რომ გამოხატვის ამგვარი ფორმების წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია დაძაბული ვითარების, ომისა და სხვა შეიარაღებული კონფლიქტების დროს;

დარწმუნებულია რა, რომ აუცილებელია წევრი სახელმწიფოების მთავრობებისათვის სახელმძღვანელო მითითებების დადგენა იმის შესახებ, თუ როგორ დაუპირისპირდნენ გამოხატვის ამგვარ ფორმებს, რამეთუ აცნობიერებს, რომ მედიის უმეტეს ნაწილს არ შეიძლება ბრალი დაედოს გამოხატვის ამგვარი ფორმებისათვის;

მხედველობაში იღებს რა ტრანსსასაზღვრო ტელევიზიის შესახებ ევროპული კონვენციის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 და მე-17 მუხლებთან დაკავშირებულ, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის საფუძველზე შექმნილი ორგანოების მიერ დადგენილ პრეცედენტულ სამართალს;

ითვალისწინებს რა რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასა და მინისტრთა კომიტეტის (68) 30 რეზოლუციას რასობრივი, ეროვნული და რელიგიური შუღლისაკენ მოწოდების წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ;

აღნიშნავს რა, რომ ყველა წევრ სახელმწიფოს არ მოუხდენია ამ კონვენციის ხელმოწერა და მისი რატიფიცირება და არც მისი იმპლემენტაცია ეროვნული კანონმდებლობის მეშვეობით;

აცნობიერებს რა იმის აუცილებლობას, რომ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლა წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს გამოხატვის თავისუფლებასთან, რათა თავიდან იქნეს აცილებული დემოკრატიისათვის ძირის გამოთხრა მისივე დაცვის საბაბით;

აგრეთვე აცნობიერებს რა მედიის გამომცემლობათა დამოუკიდებლობისა და ავტონომიის სრული პატივისცემის აუცილებლობას;

რეკომენდაციებს აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს რათა:

1. გადადგან შესაბამისი ნაბიჯები, რათა წინამდებარე რეკომენდაციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე ბრძოლა გამოუცხადონ სიძულვილის გამოხატვას;

2. უზრუნველყონ, რომ აღნიშნულმა ნაბიჯებმა შექმნან ყოვლისმომცველი მიდგომა ამ მოვლენასთან მიმართებაში, რომელიც აგრეთვე საფრთხეს უქმნის სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა საფუძვლებს;

3. ხელი მოაწერონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრის შესახებ და მოახდინონ რატიფიცირება და მისი ეფექტური განხორციელება ეროვნულ კანონმდებლობაში, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური შუღლისაკენ მოწოდების წინააღმდეგ განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ მინისტრთა კომიტეტის (68) 30 რეზოლუციის შესაბამისად;

4. გადახედონ შიდა კანონმდებლობასა და პრაქტიკას წინამდებარე რეკომენდაციის დანართში მოყვანილ პრინციპებთან მათი შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

R (97) 20 რეკომენდაციის დანართი

გამოყენების სფერო

შემდგომში მოყვანილი პრინციპები ეხება სიძულვილის გამოხატვას, კერძოდ, მედიის საშუალებით გავრცელებულ სიძულვილის გამოხატვას.

ამ პრინციპების გამოყენების მიზნებისათვის, ტერმინი „სიძულვილის გამოხატვა“ გაგებულ უნდა იქნეს, როგორც გამოხატვის ყველა ფორმა, რომელიც ავრცელებს, მოუწოდებს, განამტკიცებს ან ამართლებს რასობრივ სიძულვილს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმსა თუ სხვა სახის სიძულვილს, რომელიც დაფუძნებულია შეუწყნარებლობაზე, მათ შორის უმცირესობების, მიგრანტებისა და იმიგრანტული წარმომავლობის პირთა წინააღმდეგ აგრესიული ნაციონალიზმისა

და ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და ძალადობის ფორმით გამოხატულ შეუწყნარებლობაზე.

პრინციპი 1

წევრი სახელმწიფოების მთავრობების, საჯარო ხელისუფლებასა და სახელმწიფო დაწესებულებებს ეროვნულ, რეგინალურ და ადგილობრივ დონეზე ისევე, თანამდებობების პირებს ეკისრებათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა, თავი შეიკავონ განცხადებებისაგან, განსაკუთრებით, მედიის საშუალებით, რომლებიც თავისუფლად შეიძლება იქნეს აღქმული სიძულვილის გამომხატველ სიტყვით გამოსვლად ან იმ სიტყვით გამოსვლად, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს შეუწყვარებლობაზე დამყარებული რასობრივი სიძულვილის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმის, დისკრიმინაციის ან სიძულვილის სხვა ფორმების დაკანონება, გავრცელება ან განმტკიცება. ასეთი განცხადებები უნდა აიკრძალოს, ხოლო თუ მას მაინც ექნება ადგილი, სახალხოდ იქნეს უარყოფილი.

პრინციპი 2

წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა უნდა შექმნან ან განამტკიცონ სიძულვილის გამომხატველი სიტყვით გამოსვლის წინაღმდეგ მიმართული ძლიერი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოიცავს სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კანონმდებლობის დებულებებს. ამ საკანონმდებლო ბაზამ საშუალება უნდა მისცეს ხელისუფლების ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლება შესაბამისობაში მოიყვანოს ადამიანის ღირსების პატივისცემასა და სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დაცვასთან.

ამ მიზნით, წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა უნდა შეისწავლონ გზები და საშუალებები, რათა:

ხელი შეუწყონ და კოორდინაცია გაუწიონ მოქმედი კანონმდებლობისა და სამართლებრივი პრაქტიკის ეფექტურობის შემსწავლელ კვლევით საქმიანობას;

გადახედონ მოქმედ საკანონმდებლო ბაზას, რათა უზრუნველყონ მისი ადეკვატური გამოყენება სხვადასხვა ახალი მედიისათვის, საკომუნიკაციო სამსახურებისა და ქსელებისათვის;

განავითარონ სისხლის სამართლებრივი დევნის კოორდინირებული პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება

ეროვნულ სახელმძღვანელო მითითებებს, ამ რეკომენდაციაში მოყვანილი პრინციპების გათვალისწინებით;

შესაძლო სისხლისსამართლებრივ სანქციებს დაუმატონ საზოგადოებრივად სასარგებლო სამუშაოს შესრულების შესახებ ბრძანებები;

გააძლიერონ სიძულვილის გამომხატველი სიტყვით გამოსვლის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებები სამოქალაქო კანონმდებლობის მეშვეობით. ასე მაგალითად, ნება დართონ დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, აღძრან სამოქალაქო სამართალწარმოება, რომელიც უზრუნველყოფს სიძულვილის გამომხატველი სიტყვით გამოსვლით დაზარალებულ პირთა კომპენსირებასა და სასამართლო ბრძანებებს, რომელიც ნებას დართავს დაზარალებულებს საპასუხო ღონისძიებათა უფლებაზე ან აღმოფხვრის მიყენებულ ზარალს.

მიანოდონ საზოგადოებასა და მედიის პროფესიონალებს ინფორმაცია იმ სამართლებრივი დებულებების შესახებ, რომლებიც ეხება სიძულვილის გამომხატველ სიტყვით გამოსვლას.

პრინციპი 3

წევრი სახელმწიფოების მთავრობებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მე-2 პრინციპში მითითებულ კანონმდებლობაში გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მკაცრად შეზღუდული იყოს და განხორციელდეს კანონიერად და არათვითნებურად ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე. უფრო მეტიც, კანონის უზენაესობის ფუნდამენტური მოთხოვნის თანახმად, გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა ან მასში ჩარევა უნდა ექვემდებარებოდეს დამოუკიდებელ სასამართლო კონტროლს. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევებში, როდესაც გამოხატვის თავისუფლება შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადამიანის ღირსების პატივისცემასა და სხვათა რეპუტაციისა თუ უფლებების დაცვასთან.

პრინციპი 4

ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა საშუალებას უნდა აძლევდეს სასამართლოებს, მხედველობაში იქონიონ, რომ ზოგჯერ სიძულვილის გამომხატველი სიტყვით გამოსვლა შეიძლება იმდენად შეურაცხმყოფელი იყოს ცალკეული პირებისა თუ ჯგუფებისათვის,

რომ არ სარგებლობდეს დაცვის იმ ფარგლებით, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლი ითვალისწინებს გამოხატვის სხვა ფორმების მიმართ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიძულვილის გამომხატველი სიტყვით გამოსვლა მიზნად ისახავს კონვენციით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფას ან მათ შეზღუდვას იმაზე მეტად, ვიდრე ეს კონვენციით არის გათვალისწინებული.

პრინციპი 5

ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა საშუალებას უნდა აძლევდეს სისხლის სამართლებრივი დევნის განმახორციელებელ კომპეტენტურ ორგანოებს, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ საქმეებს, რომლებიც ეხება სიძულვილის გამომხატველი სიტყვით გამოსვლას. ამასთან დაკავშირებით, ხსენებული ორგანოები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ ეჭვმიტანილის უფლებას გამოხატვის თავისუფლებაზე და გაითვალისწინონ, რომ სისხლის სამართლებრივი სასჯელების დაწესება ზოგადად წარმოადგენს ამ თავისუფლებაში სერიოზულ ჩარევას. სიძულვილის გამომხატველ სიტყვით გამოსვლაში მსჯავრდებული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი სასჯელის შეფარდებისას კომპეტენტურმა სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ პროპორციულობის პრინციპის მკაცრი დაცვა.

პრინციპი 6

სიძულვილის გამომხატველ სიტყვით გამოსვლის შესახებ ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში ჯეროვნად უნდა იქნეს გათვალისწინებული მედიის როლი ინფორმაციისა და მოსაზრებების გადაცემაში, რომელბიც წარმოაჩენს, აანალიზებს და განმარტავს სიძულვილის გამომხატველი სიტყვით გამოსვლის კონკრეტულ მაგალითებსა და ზოგადად ამ ფენომენს ისევე, როგორც საზოგადოების უფლებას, მიიღოს ამგვარი ინფორმაცია და იდეები.

ამ მიზნით ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა მკაფიოდ უნდა განსხვავდებოდეს, ერთი მხრივ, სიძულვილის გამომხატველი სიტყვით გამოსვლისათვის ავტორის პასუხისმგებლობას, ხოლო მეორე მხრივ, მედიისა და მედიის პროფესიონალთა ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობას, რომლებიც მონაწი-

ლეობენ საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ინფორმაციისა და მოსაზრებების გავრცელებაში, რაც მათი მისიის ნაწილს შეადგენს

პრინციპი 7

მე-6 პრინციპის განმტკიცების მიზნით ეროვნულ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი:

რასიზმის, ქსენოფობიის, ანტისემიტიზმისა და შეუწყნარებლობის სხვა ფორმებთან დაკავშირებული ინფორმაციის გადმოცემა მთლიანად დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული კოვენციის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტით და მასში ჩარევა ნებადართულია მხოლოდ ამ მუხლის მე-2 პუნქტის პირობების შესაბამისად;

ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის შეფასებისას გამოყენებული სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს მე-10 მუხლში გაცხადებულ პრინციპებს, როგორც ეს დადგენილია კონვენციის ორგანოების პრეცედენტულ სამართალში, ინტერ ალია, ინფორმაციის გადმოცემის მანერის, შინაარსის, კონტექსტისა და მიზნის გათვალისწინებით;

ჟურნალისტური თავისუფლების პატივისცემა აგრეთვე გულისხმობს, რომ სასამართლოებმა და საჯარო ხელისუფლებამ თავს არ უნდა მოახვიონ მედიას თავიანთი შეხედულება იმის თაობაზე, თუ ინფორმაციის გადმოცემის როგორი ტექნიკა უნდა გამოიყენონ ჟურნალისტებმა.

რეკომენდაცია R (97) 21 მედიისა და შემწყნრებლობის კულტურის განმტკიცების შესახებ (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 1997 წლის 30 ოქტომბერს, მინისტრთა მოადგილეების 607-ე სხდომაზე)

მინისტრთა კომიტეტი, ევროპის საბჭოს წესდების მე-15ბ მუხლის პირობათა თანახმად,

ითვალისწინებს რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთობის მიღწევა მათი საერთო მემკვიდრეობის იდეალებისა და პრინციპების დაცვისა და ცხოვრებაში გატარების, აგრეთვე ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ხელშეწყობის მიზნით:

ხაზს უსვამს რა თავის მოვალეობას, უზრუნველყოს ყველა პირის ღირსების თანაბარი პატივისცემა და უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერ ისეთ ნიადაგზე, როგორიცაა: სქესი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულება, ეროვნული და სოციალური წარმომავლობა, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილ;ება, საკუთრება, დაბადება თუ სხვა სტატუსი;

კვლავ იხსენებს, რა რომ ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა გამოხატეს თავიანთი რწმენა ვენის სამიტის კონფერენციაზე (1993 წლის ოქტომბერი), რომ შემწყნარებლობის პრინციპი არის ევროპაში ღია საზოგადოების მიერ კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცების გარანტია;

მიიღო გადაწყვეტილება რა, რომ ვენის სამიტის კონფერენციაზე მიღებული სამოქმედო გეგმის საფუძველზე გააძლიეროს ღონისძიებები შეუწყნარებლობის წინააღმდეგ;

მიესალმება რა საერთაშორისო ორგანიზაციების, მთავრობების და საზოგადოების სხვადასხვა სექტორის ინიციატივებს, განსაკუთრებით, მედიის პროფესიონალთა ინიციატივებს, განამტკიცონ შემწყნარებლობის კულტურა და აღნიშნავს რა, რომ ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ხელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან იმისათვის, რათა ხელი შეუწყონ ან ინიციატივებს და უზრუნველყონ მათი ზოგადი აღიარება მედიის ყველა სექტორში;

აღნიშნავს რა, რომ მედიას შეუძლია პოზიტიური წვლილი შეიტანოს შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ბრძოლაში, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ხელს უწყობს საზოგადოებაში სხვადასხვა ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ ჯგუფს შორის ურთიერთგაგების კულტურის განმტკიცებას;

ხაზგასმით აღნიშნავს რა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის შესაბამისად, მედიის პროფესიონალთა და მედიის ორგანიზაციათა დამოუკიდებლობასა და ავტონომიას, აგრეთვე იმის აუცილებლობას, რომ თავიდან იქნეს აცილებული ის ღონისძიებები, რომლებიც ხელყოფს ამ პრინციპებს;

ითვალისწინებს რა, რომ მედიის პროფესიონალები შესაძლოა წარმატებით იქნენ მოწვეულნი, რათა უფრო ვრცლად იმსჯელონ მზარდ მრავალკულტურულ

და მრავალეთნიკურ წევრ სახელმწიფოებში შეუწყნარებლობის პრობლემასა და იმ ღონისძიებებზე, რომელთა განხორციელებაც მათ შეუძლიათ შემწყნარებლობისა და ურთიერთგაგების განმტკიცების მიზნით;

დარწმუნებულია რა რომ ამგვარი ღონისძიებები შესაძლოა განხორციელდეს რამდენიმე საფეხურზე, მათ შორის ჟურნალისტიკის სკოლებში, მედიის ორგანიზაციებში ისევე, როგორც მედიის პროფესიების განხორციელებათა კონტექსტში;

დარწმუნებულია რა, რომ ამგვარი ღონისძიებების წარმატება უმეტესწილად დამოკიდებულია მედიის სექტორებში სხვადასხვა კატეგორიის პროფესიონალთა, განსაკუთრებით კი მედიის მესაკუთრეთა, მენეჯერთა, რედაქტორთა, მწერალთა, პროგრამისტთა ჟურნალისტთა და რეკლამების განმთავსებელთა მონაწილეობის დონეზე;

მხედველობაში იღებს რა საპარლამენტო ასამბლეის 1277 (1995 წ.) რეკომენდაციას მიგრანტების, ეთნიუკრი უმცირესობებისა და მედიის შესახებ:

რეკომენდაციას აძლევს წევრი სახელმწიფოების მთავრობებს, რათა:

1. აცნობონ შემდეგ შესაბამის ჯგუფებს მოქმედებათა იმ საშუალებების შესახებ, რომლებიც მოცემულია წინამდებარე რეკომენდაციის დანართში:

პრესას, რადიო და სატელევიზიო საწარმოებს ისევე, როგორც ახალ საკომუნიკაციო და სარეკლამო სექტორებს;

მედიის პროფესიონალთა წარმომადგენლობით ორგანოებს ამ სექტორებში;

მარეგულირებელ და თვითმარეგულირებელ ორგანოებს ამ სექტორებში;

ჟურნალისტიკის სკოლებსა და მედიის სასწავლო ინსტიტუტებს.

2. პოზიტიური განწყობით განიხილოს ნებისმიერი თხოვნა, რომელიც ეხება წინამდებარე რეკომენდაციის მიზნის მისაღწევად ინიციატივების ხელშეწყობას.

R (97) 21 რეკომენდაციის დანართი

გამოყენების სფერო

ქვემოთ განხილულ მოქმედებათა საშუალებები მიზნად ისახავს, წარმოაჩინოს პროფესიული პრაქტიკის

არასრული მაგალითები, რომლებიც ხელს უწყობს შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებას და რომლებიც წარმოადგენს უფრო ზოგადი დანიშნულების დებულებას მედიის სხვადასხვა სექტორში.

პროფესიული პრაქტიკის სახეები, რომლებიც ხელს უწყობს შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცებას.

ტრენინგი

პირველადი ტრენინგი

ჟურნალისტიკის სკოლებსა და მედიის სასწავლო ინსტიტუტებს, თუ მათ ეს ჯერ კიდევ არ განუხორციელებიათ, შეუძლიათ სასწავლო პროგრამაში წარმატებით შეიტანონ სპეციალური კურსები მათი პროფესიონალიზმის არსის განვითარების მიზნით, რომლებიც ითვალისწინებს:

მედიის ჩაბმას მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ საზოგადოებაში;

წვლილს, რომელიც შეუძლია მედიას შეიტანოს სხვადასხვა ეთნიკურ, კულტურულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის უკეთესი ურთიერთგაგების მისაღწევად.

შემდგომი ტრენინგი

მედიის საწარმოებს შეუძლიათ წარმატებით უზრუნველყონ შიდა ტრენინგი ან მონაწილეობა მიიღონ სასწავლო სემინარებში, რომლებიც ორგანიზებულია საწარმოს ფარგლებს გარეთ, შემწყნარებლობასა და შეუწყნარებლობასთან დაკავშირებით პროფესიული ნორმების შესახებ.

2. მედიის საწარმოები

შეუწყნარებლობის პრობლემა მოითხოვს მსჯელობას როგორც საზოგადოებაში, ასევე მედიის საწარმოების შიგნით. პროფესიული მედიის წრეების გამოცდილებამ დაგვანახა, რომ მედიის საწარმოებს შეუძლიათ სასარგებლო ზეგავლენა შემდეგზე:

რასიზმსა და შეუწყნარებლობის ქმედებებზე ფაქტობრივი და ზუსტი ინფორმაციის მიწოდება;

საზოგადოების ჯგუფებს შორის არსებულ დაძაბულობაზე ინფორმაციის მოწოდება მგრძნობიარე ფორმებით;

თავიდან იქნეს აცილებული კულტურული, ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფების წევრების დამამცირებელი სტერეოტიპული აღწერა, პუბლიკაციებსა და საპროგრამო მაუწყებლობებში;

პირის ქმედების განხილვა მისი გარკვეული ჯგუფისადმი კუთვნილებისაგან განცალკევებით, როდესაც ეს შეუსაბამოა;

საზოგადოების კულტურულ, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფთა აღწერა დაბალანსებული და ობიექტური სახით და იმ გზით, რომელიც ასევე ასახავს საზოგადოების ხსენებული ჯგუფების პერსპექტივებსა და შეხედულებებს;

გაამახვილოს საზოგადოებრივი აზრი შეუწყნარებლობით გამოწვეულ ბოროტებაზე;

გააღრმავოს საზოგადოების მიერ განსხვავების გაგება და შეფასება;

დაგმოს მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს რესპონდენტების მიერ ინტერვიუების, მოხსენებების, სადისკუსიო პროგრამებისა და სხვა დროს გაკეთებულ შეუწყნარებელ განცხადებებს;

გაითვალისწინოს ინფორმაციის წყაროს ზეგავლენა გადმოცემაზე;

მედიის საწარმოებში მომსახურე პერსონალის მრავალფეროვნება და დონე, რაც შეესაბამება მკითხველის, მსმენელისა თუ მაყურებლის მრავალეთიკურ და მრავალკულტურულ ხასიათს.

3. მედიის პროფესიონალთა წარმომადგენლობითი ორგანოები

მედიის პროფესიონალთა სხვადასხვა კატეგორიის წარმომადგენლობით ორგანოებს შეუძლიათ წარმატებით განახორციელონ სამოქმედო პროგრამები თუ პრაქტიკული ხასიათის ინიციატივები შემწყნარებლობის კულტურის განმტკიცების მიზნით.

4. ქცევის კოდექსები

ასეთი ინიციატივები და მოქმედებები შესაძლოა სრულებით შეესაბამებოდეს მედიის სხვადასხვა სექტორში შექმნილ პროფესიული ქცევის კოდექსებს, რომლებიც დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის პრობლემებს უპირისპირდება, მოუწოდებს რა მედიის პროფესიონალებს, დადებითი წვლილი შეიტანონ საზოგადოების სხვადასხვა რელიგიურ, ეთნიკურ და კულტურულ ჯგუფებს შორის შემწყნარებლობისა და ურთიერთგაგების განვითარებაში.

5. მაუწყებლობა

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივ სამაუწყებლო კომპანიებს ეკისრებათ განსაკუთრებული ვალ-

დებულება, განამტკიცონ შემწყნარებლობის კულტურა და ურთიერთგაგება, სამაუწყებლო მედია, როგორც ერთი მთლიანი, წარმოადგენს ეფექტურ ძალას იმ ატმოსფეროს შესაქმნელად, რომელშიც უნდა დაიგმოს შეუწყნარებლობა. სამაუწყებლო მედიაზე შესაძლოა, ზეგავლენა იქონიონ სამაუწყებლო კომპანიებმა, რომლებიც, მაგალითად:

ქმნიან ადეკვატურ დებულებებს საპროგრამო მაუწყებლობა, ასევე ხელსაყრელ საყურებელ დროს, რომელიც ხელს უწყობს ყველა პირთა, ჯგუფთა და საზოგადოებათა ინტეგრაციას, ისევე როგორც სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და სხვა საზოგადოებებისადმი საეთერო დროის პროპორციულად გადანაწილება;

განავითარონ მრავალკულტურული მიდგომა პროგრამის არსთან მიმართებაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული პროგრამები, რომლებიც წარმოადგენს საზოგადოებას მონოკულტურული და მონოლინგვისტური სახით;

განამტკიცებენ მრავალკულტურულ მიდგომას პროგრამებში, რომლებიც სპეციალურად განკუთვნილია ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რაც მათ საშუალებას მისცემს აღიზარდონ იმ შთაგონებით, რომ კულტურული, რელიგიური და ეთნიკური განსხვავება არის საზოგადოების ბუნებრივი და დადებითი ელემენტი;

განავითარონ ღონისძიებები, რათა მოხდეს რეგიონალურ, ეროვნულ თუ ევროპულ დონეზე იმ პროგრამების განაწილება, რომელთა ღირებულება დამტკიცებულია შეუწყნარებლობის ბოროტების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზებასა თუ მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ საზოგადოებებში საზოგადოებრივი ურთიერთობების ხელშეწყობაში.

6. რეკლამირება

მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი საზოგადოების მრავალეთნიკური და მრავალკულტურული ხასიათი უკვე ასახულია ცალკეულ კომერციულ რეკლამებში და რომ რიგი რეკლამის განმთავსებლებისა დგამენ ნაბიჯებს, რათა რეკლამა მოამზადონ იმ სახით, რომელიც ასახავს კულტურული, რელიგიური და ეთნიკური განსხვავების დადებით მხარეს, შესაბამის პროფესიონალთა წრეების მიერ შესაძლებელია გან-

ვითარდეს ისეთი პრაქტიკა, როგორიც ქვემოთ არის წარმოდგენილი.

ცალკეულ ქვეყნებში ქცევის კოდექსები შეიქმნა სარეკლამო სექტორში, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას ისეთ საფუძველზე, როგორიცაა რასა, კანის ფერი, ეროვნული წარმომავლობა და სხვა.

არსებობს მედიის საწარმოები, რომლებიც უარს ამბობს სარეკლამო შეტყობინებების გადაცემაზე, რომლებიც ასახავს კულტურულ, რელიგიურ თუ ეთნიკურ განსხვავებას ნეგატიური გზით, მაგალითად, სტერეოტიპების გამყარებით.

ცალკეული საზოგადოებრივი და კერძო ორგანიზაციები ავითარებენ სარეკლამო კამპანიებს, რომლებიც მიზნად ისახავს შემწყნარებლობის განმტკიცებას. მედია მოწვეულ უნდა იქნეს, რათა აქტიურად ითანამშრომლოს ამ სახის რეკლამების გავრცელებაში.

ანბანური საძიებელი

ადამიანის უფლებათა
ევროპის სასამართლო 27, 30, 31, 34, 36, 40
ადამიანის უფლებათა საყოველთაო
დეკლარაცია 33, 39, 40, 61
აზრის, სინდისისა
და რელიგიის თავისუფლება 57
ანტისემიტიზმი 38, 66, 67, 68, 69, 72
არასრულწლოვნები 15, 55, 64, 65
ასაკი 18
ახალგაზრდები 45, 77

ბასკი 24
ბლადეტ ტრომსო, ადამიანის
უფლებათა ევროპის სასამართლოს
გადაწყვეტილება 31

გაერთიანებული ერები 37, 39, 62, 67, 68
გამოსახულება 57
გამოხატვის თავისუფლება 27, 28, 38, 40, 58, 67, 69, 70, 71
გენდერი 18

დამოუკიდებლობა 11, 17, 73
დანაშაულის მსხვერპლი 56
დისკრიმინაცია 21, 24, 33, 34, 35, 46, 54, 66, 78
დისკრიმინაცია, პოლიტიკური 29, 33, 58, 59, 61
დისკრიმინაცია, რასობრივი 21, 36, 37, 39, 40, 48, 67, 68
დისკრიმინაცია, სქესობრივი 21
დისკრიმინაციის აკრძალვა 29, 33, 37, 58,

ეთიკის კოდექსები 12, 15, 19, 23, 47, 53
ეთიკის კოდექსები
და მათი იურიდიული ძალა 23
ეთნიკური წარმომავლობა 24
ეთნოცენტრიზმი 69
ენა 29, 58, 62, 64, 65, 73
ეროვნება 9

ვარდების რევოლუცია 11

თანასწორუფლებიანობა 21
თანამშრომელთა მრავალფეროვნება 44

იანოვსკი, ადამიანის უფლებთა
ევროპის სასამართლოს
გადაწყვეტილება 31
ილუსტრაცია 57
ინფორმაცია, შეზღუდვები 23
ინფორმაციის თავისუფლება 30
ისლამი 24
იძულებით მუშაობა 27

კანის ფერი 29, 33, 39, 46, 58, 59, 61, 73, 78

კანონიერების დარაჯი	31
კანონი მაუწყებლობის შესახებ	12, 15, 17, 18, 51
კანონის წინაშე თანასწორობა	16, 33, 58, 61, 65
კლიშეები	49
კომენტარი (შეხედულება)	53
კონკურენცია მედიაში	31
კულტურის განვითარება და მრავალფეროვნება	16
კულტურის წყაროები, გამოხატვა და გამდიდრება	16
კულტურული მემკვიდრეობა	16
მაუწყებლობის თავისუფლება	30
მედია ტრენინგი	43
მედიის მრავალფეროვნება	30
მედიის მფლობელობა	19
მიგრანტი	68, 74
მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები	41
მონობა	27
მონოპოლია	31
მუქარა	20
მცირეწლოვანი ბავშვები	62
ობერშლიკი, ადამიანის უფლებთა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება	31
პიერმონტი, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება	30
პოლიტიკური გაერთიანება	29
პოლიტიკური უფლებები	62
პორნოგრაფია	25
პრესის როლი დემოკრატიაში	19
პირადი ცხოვრების პატივისცემა	55
პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება	54
პროგრამის შედგენა, მულტიკულტურული მიდგომა	45
პროპაგანდა	22, 38, 65
პროფესიული ეთიკა	12, 15, 19, 23, 53
პროფესიული სტანდარტები მედიაში	15, 23, 43
ჟურნალისტიკის სკოლები და მედიის სასწავლო ინსტიტუტები	41, 43, 74, 75
ჟურნალისტური თავისუფლება	38
რასა	9, 29, 58, 62, 73, 78
რასიზმი	38, 40, 66, 67, 72
რასობრივი დისკრიმინაცია	21
რასობრივი მოტივით ჩადენილი დანაშაული	38
რეკლამა	45, 49, 56, 77
რეკლამა და სტერეოტიპები	46, 49, 78
რეკლამა და ქცევის კოდექსები	44, 46, 47, 76, 78
რელიგია	28, 29, 57, 58, 62, 65, 73

სავარაუდო	57
საერთაშორისო შეთანხმებები	12, 15
საზოგადოებრივი მაუწყებლობა	18, 19
საზოგადოებრივი სამაუწყებლო კომპანია	45
საზოგადოებრივი უსაფრთხოება	28, 57
სამართალწარმოების ენა	64
სასამართლოს მიუკერძოებლობა	58, 62, 63
სასჯელი	65, 71
სექსუალური ორიენტაცია	9, 54
სისასტიკე	22
სისასტიკის კულტი	22
სისხლის სამართლის დანაშაულის მსხვერპლი	56
სისხლის სამართლის დანაშაული, სქესობრივი	56
სისხლის სამართლის კოდექსი	15, 20, 21, 52,
სიტყვის თავისუფლება	11, 20
სიძულვილის გამოხატვა	37, 38, 41, 68
სოციალური მახასიათებლები	44
სოციალური წარმომავლობა	73
სტერეოტიპები	46, 49, 78
სქესი	16, 29, 33, 58, 59, 61, 62, 66, 73
ტრენინგი	43, 46, 75
უმცირესობები	16, 65, 68, 74
უმცირესობები, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი	65
უმცირესობის უფლებები	17
ფოტოები	31
შეზღუდული შესაძლებლობები	21
ქსენოფობია	68
შემწყნარებლობა	38, 43, 75
შეუწყნარებლობა	43, 45, 68, 69, 75, 77
შუღლი, ნაციონალური, რასობრივი ან რელიგიური	37, 39, 40, 67, 68
ძალადობისკენ წაქეზება	65
წყაროები, დაცვის	24, 54
წყაროები, კონფიდენციალური	24, 54
ჯანმრთელობა	55, 58
ჯერსილდი, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილება	30, 40

მრავალფეროვნება - სახელმძღვანელო სამართლებრივი პრინციპები ქართული მედიისათვის

მედიის მრავალფეროვნების მარეგულირებელი საქართველოსა და საერთაშორისო კანონები და კოდექსები და მათი განმარტებები

ავტორები: ირაკლი კოტეტიშვილი და დევი სტურუა
მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტის დაკვეთით

გამომცემელი:
ელენე ალადაშვილი და ლიდია ელ კოჰოური
მედიის მრავალფეროვნების ინსტიტუტი

თარგმანი:
თამარ იაშვილი

ყდის დიზაინი:
ლეონარდ ვიცინიც

დაკაბადონება:
ბესიკ დანელია

ბეჭდვა:
კალამუს გრაფიკს სტუდიო (CGS)